


საქართველო **Сакартвело** საქართველო

#1 (16) 2014



საქართველო **საქართველო**

სარჩევი

ЗМІСТ

ტარას შევჩენკო - 200! 5 ТАРАС ШЕВЧЕНКО - 200!

შენხედრა პოლტავაში 13 ЗУСТРІЧ У ПОЛТАВІ

1924 წლის აჯანყება სამეგრელოში 14 ПОВСТАННЯ У МЕГРЕЛІЇ 1924 РОКУ

«...კვალი განათებული...» 22 «...СВІТЛИЙ СЛІД...»

ბრწყინვალე ღმრთისმეტყველები იმერეთის გულში 27 ЧУДОВЕ СВЯТО В СЕРЦІ ІМЕРЕТІ

„...ხატთა მათ, რომელთა ჩვეული რიდით და სასოებით უყრიდით მუხლსა...“ 31 ДЕЛЕГАЦІЯ ЗУГДІД-ЦАІШСЬКОЇ ЄПАРХІЇ В УКРАЇНІ

ქართული კინოს ღმრთისმეტყველები 33 СВЯТО ГРУЗИНСЬКОГО КІНО В КИЄВІ

უკრაინა ქართველთა გულში 36 УКРАЇНА В СЕРЦІ У ГРУЗИНІВ

ორი დამსახურებული ჯილდო! 40 ДВІ ЗАСЛУЖЕНІ НАГОРОДИ!

მოგესალმებით, ჩვენი მკითხველო, დრო გადის და რეალობა იცვლება, შეიცვალა მსოფლიო გლობალური ცივილიზაციაც და ჟურნალის ფურცლებიდან მოსაღმება დამწუხრებულს მიწევს. რთულ ვითარებაში გვიწევს ცხოვრება და მოღვაწეობა. თითქოს ყველაფერი უკეთესობისკენ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდით და წლების მერე ისევ გვიწევს ჩვენი მამულის დაცვა და შვილებისათვის ქვეყნის შენარჩუნებაზე ზრუნვა.

აღრე ვწერდი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილზე და ვერ წარმომედგინა თუ იგივე მდგომარეობაში უკრაინაც აღმოჩნდებოდა. მაქვს სურვილი სიყვარულის, კეთილმეზობლობის, მაგრამ რთულმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა, თან დიდი ხნით, რამეთუ სისხლისღვრა უკურნებელია და გულში ხინჯად გვრჩება. აქ არ ვისაუბრებ წარმატებებზე, რამეთუ ჩვენი წარმატება ჩვენი ქვეყნების კეთილდღეობაა და თან ეს ფურცლებიც ჩვენი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება . . . ისმის კითხვა ვართ დამოუკიდებლები?! ვართ მშვიდობიან გარემოში?! პასუხი არ გამაჩნია და ამ კითხვაზე პასუხი მსურს ჩვენი ქვეყნების მმართველებმა გაგვეცნ, გვითხრან, რომ მათი სამრუნავი ხალხია და არ გადაყოლებენ მშვიადობიან მოსახლეობას მათ პოლიტიკურ ინტერესებს. . .

ძვირფასო მკითხველო, ამ რთულ ვითარებაში მიუხედავად სირთულეებისა, ვიღწიეთ ისევ ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის. მოლოდინი იმისა, რომ ხვალ შეიძლება უცხო ხელისუფალი თავს დაგვესხას, უფრო გვაძვიდროებს და გვამაგრებს. უიმედობა ყველაზე ცუდი სენია და მსურს არ დავეკარგოთ სასოება, ურთიერთ სიყვარული, მომავლის რწმენა. მჯერა, ერთად ვიდგებით მშვიდობის სადარაჯოზე, ერთად გავიმარჯვებთ.

პატივისცემით,
ბესიკ შამუგია



Вітаю Вас, дорогий читачу!
Плине час та змінюється реальність, змінилась й глобальна світова цивілізація, тому змушений вітати вас зі сторінок журналу із сумом. Ми мусимо жити та працювати у важкий обставовці. Все мало б змінитися на краще, але ми опинились перед іншою реальністю та через роки знов маємо захищати свою батьківщину та дбати про збереження країни для наших дітей.

Раніше писав про бажання відновлення територіальної цілісності Грузії та не міг представити, що й Україна опиниться в такий ситуації. Я бажаю взаємної любові, взаємного добросусідства, але важкі політичні катаклізми відділили нас один від одного надовго, тому що білґ від кровопролиття не зцілити, воно залишається в серці назавжди. Не буду говорити про досягнення, тому що наше прагнення – благополуччя нашої країни, і ці сторінки присвячені незалежності нашої Грузії... Лунає питання – ми незалежні?! Живемо в мирний час?! У мене немає відповіді, і я хочу отримати її від керівників наших держав, почути, що народ є їхньою турботою, і вони не пожертвують мирним населенням через свої політичні інтереси...

Шановний читачу, у цей важкий час, не дивлячись на всі труднощі, ми прагнемо щастя для наших дітей. Очікування того, що завтра іноземна держава може напасти на нас, ще більше нас об'єднує та зміцнює. Безнадійність - найгірша хвороба. Бажаю нам, не втратити надію, взаємну любов, віру у майбутнє, віроу – разом будемо стояти на сторожі спокою, разом ми перемажемо.

З повагою,
Бесік Шамугія



ტარას შევჩენკო – 200!

TARAS SHEVCHENKO – 200!

ნაწევები რაულ ჩილაჩავას წიგნიდან «ფიქრბო ჩემბო...» («Думи мої...»), რომელიც გამოიცა 2013 წლის ბოლოს და ეძღვნება ტარას შევჩენკოს 200 წლისთავს.

ტარას შევჩენკო უნივერსალური პოეტია. იგი აკმაყოფილებს უდახვეწილესი ესთეტიკისა და უბრალო გლეხის, სიუვეტური, ეპიკური თხრობისა და ემოციურად დაძაბული ლირიკული ლექსების მოყვარულთ, პოლიტიკური სატირისა და ინტიმური აღსარების თავყვანისმცემელთ.

დღეს ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია ბედის ასეთი საშინელი უკუღმართობა: ვთქვათ და არ გამოეცხადათ იგი ყმობიდან ან დამორჩილებოდა იმპერატორის ბრძანებას წერისა და ხატვის მკაცრად აკრძალვის შესახებ ან ჯარისკაცად ყოფნისას სადმე კოს–არალის გულგრილ ტალღებში თუ მანგიშლაკის ჩხრიალა ქვიშაში ჩაკარგულიყო მისი უბის წიგნაკები და დღიურები, ხანძრების ალში დაწოქმულიყო მისი ტილოები!

საბედნიეროდ, მოხდა სხვაგვარად, მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. იგი საუკუნოდ ჩვენია — ნაზი და მრისხანე, მზიარული და სევდიანი, ამავსი და თავმდაბალი, სადა და გენიალური.

შევჩენკო უდიდესი უკრაინელი რომანტიკოსია. ახალი სალიტერატურო ენისა და თვით ლიტერატურის ფუძემდებელია. ამავე დროს, პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ გრაბოვიჩის მტკიცებით, იგი მითების მოხზველია. უკრაინის მისეული ისტორია მეტაისტორიაა, რომელიც უკვე უკრაინულ მითში გადაიზარდა, სადაც წაშლილია ზღვარი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის. პოეტს აინტერესებს არა იმდენად ის თუ რა მოხდა, არამედ თვით მომხდარი და მისი მნიშვნელობა. წარსული მის პოეზიაში წარმოჩენილია კოლექტიური სახეების მეშვეობით, რომელთა საფუძველიცაა ხალხური სიმღერები, ლექსები, ღუმები, ლეგენდები. წარსულის პოეტისეული ხილვა კოლექტიური ეთიკაა, რომელიც არაიშვიათად გაიგივებულია ზაპოროჟიულ კაზაკებთან და წარმოადგენს ისტორიის წარმმართველ ძალას.

პროფესორ გრაბოვიჩს მიაჩნია, რომ შევჩენკოს მითოლოგიური კოდი, სხვა რომანტიკოსებისგან განსხვავებით ერწმის მის პირად ბიოგრაფიას, უკეთუ შევჩენკო თვითონაა მითის მატარებელი, სიმბოლურ იდენტიფიკაციათა სისტემის შემადგენელი ნაწილი. შევჩენკოს მიერ წარმოსახული უკრაინა არსებობს მითოლოგიურ და არა ისტორიულ დროში. მისთვის იგი სახელმწიფოა მთელი თავისი ატრიბუტიკით, მას აქვს საკუთარი ტერიტორია, პყავს პეტმანი, ჯარი, ასულდგმულებს ასწლოვანი ტრადიციებიდან ამოზრილი ეროვნული იდეალები. სინამდვილეში კი ეს, რა თქმა უნდა, ილუზიაა, ავტორისეული ფანტაზიის ნაყოფია, მითია, რადგან შევჩენკოს დროინდელ უკრაინას უკვე მსგავსი არაფერი გააჩნია, თვით იდეალებიც კი. ისინიც შევჩენკომ უნდა შეთხზას, ჩამოაყალიბოს, საზოგადოებას ჩაუწერგოს და პიროვნულად უქციოს. და ისიც ამ მიზნის მისაღწევად ძირფესვიანად ამოატრიალებს უკრაინულ რომანტიზმს, (რომელსაც საფუძვლად ედო ფოლკლორიზმი — ქრისტიანულ ეთიკასთან შეზრდილი ხალხური მითოლოგია და დემონოლოგია, ფანტასტიკური ბალადები და გალექსილი ნოველები) და თავისუფლებისმოყვარე მშობელი ხალხის გმირობასა და მოწამებრიობას გახდის უსაყვარლესი

Відривок книги Руля Чілачава «Думи мої...», яка була опублікована наприкінці 2013 року та присвячена 200-літтю Тараса Шевченка

Тарас Шевченко — поет універсальний. Він задовольняє смаки найвишуканішого естета й простого селянина, прихильників сюжетних, розлогих оповідей і сконденсованих, емоційно напружених ліричних поезій, шану–вальника політичної сатири чи інтимної оповіді.

Нам сьогодні важко уявити таку страшну несправедливість долі: а якби не викупили його, або він підкорився імператорському наказу про сувору заборону писати й малювати, або десь у солдатчині, у хвилях байдужого Косаралу чи сипучих пісках Мангишлаку загубилися його захалявні книжечки й щоденники, чи в пожежі згоріли його картини?!

На щастя, сталося так, як мало статися. Він навіть наш, гнівний і лагідний, веселий і журливий, гордий і скромний, простий і геніальний.

Тарас Шевченко своїм «Кобзарем» одним із перших гарантував вічність своєму народові, своїй мові, своїй культурі. Він зробив незаперечною й підняв на найвищий щабель ту дорогоцінну духовну спадщину, що протягом віків створювали всі його попередники.

«Кобзар» — просякнута кров'ю і сльозами найвеличніша і найбезсмертніша українська книжка, в якій печаль і радість, відчай і непохитна віра в майбутнє висловлені найглибше, найпристрасніше.

«Кобзар» став охоронною грамотою України, її перепусткою у майбутнє. Шевченко таки зумів поставити слово на сторожі Вітчизни, на варті її недоторканості.

Найтонше відчуття мови та художньої форми, простота образу й думки, різноманітність узятого із самого життя поетичного змісту, єдність ідеального та індивідуального — ось той неповний перелік достоїнств “Кобзаря”, які приваблюють і будуть приваблювати шанувальників прекрасного й піднесеного.

В уявленні грузина ця книжка неодмінно викликає паралель з «Давітіані». Основне, що ріднить Шевченка й Гурамішвілі, — це дивовижне поєднання особистого із суспільним, панорамне, масштабне відтворення власного горя на тлі лихоліття народного. Існують в їх біографіях і цікаві антипаралелі: 24-річного Гурамішвілі взяли в полон

უკრაინის ხატის, ეროვნული მითის უმთავრეს ნიშან–თვისებებად.

როგორც თანამედროვე უკრაინელი მწერალი და მეცნიერი ოქსანა ზაბუჟკო შენიშნავს, შევჩენკოს მითი უკრაინის შესახებ იქმნებოდა ერთიანი შუასაუკუნეობრივი (ავტორის თქმით — ტრანსევროპული) მსოფლმხედველობის რღვევის შედეგად. ეს ის დრო იყო, როცა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ეთნოსთა განცალკევებულობა სულიერ სანქციონირებას საჭიროებდა და ამ თვალსაზრისით შევჩენკოსეული მითი თითქმის რეფორმაციის ჯუფთია.

სახევათაშორისოდ უნდა ითქვას, რომ შევჩენკომდე ტერმინი უკრაინა–რუსეთის იმპერიაში მიღებული არ ყოფილა. ტერიტორიას, რომელიც ამჟამად ამ სახელწოდებითაა ცნობილი, მაშინდელი ოფიციალიზაცა და ლიტერატურაც უმთავრესად მალოროსიად მოიხსენიებდა. თვით შევჩენკოსაც მალოროსიელ პოეტსა და მხატვარს ეძახდნენ, რომლის ენაც ველიკორუსულის სამხრეთულ განშტოებად თუ დიალექტად მიაჩნდათ.

თუ რუსებისთვის პუშკინი „ჩვენი ყველაფერია“, შევჩენკო უკრაინელებისთვის „ყველაფერზე უფრო ყველაფერია“. უკრაინულ ენაში შევჩენკოზე უფრო ყოვლისმომცველი ცნება მხოლოდ თვით ცნება „უკრაინაა“, შევჩენკო უკრაინელებისთვის ერთია, ერთადერთია, სამყაროს ჭიბია და მას აქ ვერ გაეკიბრები, არც ღირს გაკიბრება, რადგან საქმე გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან, სულ სხვა ფენომენთან. უკრაინელის წარმოდგენით ტარას შევჩენკო არის აბსოლუტი, უზეშთაესი სუბსტანტი, რომელმაც საკუთარი შემოქმედებიდან, როგორც სავაოფმა თიხიდან ადამი, გამოძერწა თვითონ იგი, შთაბერა საკუთარი სული და შთააგონა: შენ ხარ უკრაინელი, მშობლიური მიწა–წყლის ბატონ–პატრონი, ექმენ მას ფარად და მცველად, იმედად და ნუგეშად აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე!

ეროვნული თვითშეგნების მატარებელ დღევანდელ უკრაინელს ვერ დაავრებ, რომ მისი სათაყვანო გმირი და ყველაზე დიდი უკრაინელი დედამიწის ზურგზე ამავე დროს იყო სრულიად მიწიერი არსება და, როგორც ყველა ძეხორცელი, ცოდვის შვილი, რომისა და სიგარის მოყვარული, ქალების მეტრეფე, მოქიფვე და პეტერბურგის მოდური სალონების სასურველი სტუმარი, რომელიც ისე იმშვენებდა მაღალ წებში ტრიალს, გენერლებთან, თავადებთან და მებატონეებთან, თავის კლასობრივ მეტრებთან, მეგობრულ ურთიერთობას, რომ თითქმის არც ნაყმევარი ყოფილა და არც ნასაღდათიარი. დიას, ბევრი ვინმე მოწმობს, რომ ეს ნამდვილად ასე იყო, მაგრამ კაცს ენა არ მოგიბრუნდება პოეტის გასამეცუნებლად: იგი დაჟინებით ცდილობდა წუთისოფლისთვის პირდაპირ ხელიდან გამოეგლიჯა მიწიერი სიამტკილობა, რაც მას ჯერ გაუხარელმა ყმობამ, მერე კი გადასახლებამ არ აღირსა. დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თავის დროზე შევჩენკო იყო ავანგარდისტი მხატვარი და მწერალი, სკანდალური ლექსებისა და პოემების ავტორი, თავგებულადღებული ბოჰემა, რომელსაც განგებამ უამრავ განსაცდელსა და სატანჯველთან ერთად უზარმაზარი ნიჭი და მის დასახარჯად მეტად სპეციფიკური გარემო და მცირე დრო უბოძა, ამ „ყმა–ინტელიგენტის“ გარეგნული დარდიმანდობა, ჩემი აზრით, უსათუოდ სიყმაწვილის კომპლექსებისგან განთავისუფლების მცდელობაც იყო.

„ზოგის ცხოვრებაში შეიძლება დაითვალო მწუხარების დღეები, მის ცხოვრებაში კი – ბედნიერებისა,“ წერდა მხატვარი ლეე ჟემშუჟნიკოვი და, ასეთ კაცს მართლაც ბევრი რამე უნდა ეპატიოს. თუმცა საპატიებელი მას არც არაფერი ჩაუდენია.

შევჩენკოსადმი თანამემამულეთა თითქმის საკრალური დამოკიდებულება კარგად შენიშნა უკრაინაში დავით გურამიშვილის საფლავის მოსაძენად ჩასულმა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც



ლვგინი; 24-річного Шевченка російські інтелігенти викупили з кріпацтва; 24 роки Гурамішвілі був поміщиком, 24 роки Шевченко був кріпаком. І нарешті ще одна схожість: у Шевченка, як і в Гурамішвілі не залишилось нащадків. Власне, для облаштування особистого життя у нього не було ні часу, ні умов. І все ж інколи з надтріснутим голосом наспівував: «Поставлю хату і кімнату, садок-райочок насаджу, посиджу я і походжу в своїй маленькій благодаті». Хоча це більше скидалось на самозаспокоєння, ніж на справжню мрію.

Уся Шевченкова творчість просякнута глибокою тугою за зруйнуваною Запорізькою Січчю, втраченою національною незалежністю. В цьому сенсі він нагадує грузинських романтиків Олександра Чавчавадзе, Григола Орбеліані, Ніколоза Бараташвілі. Як схожі його «Нема на світі України, немає другого Дніпра» на знайомі змалку рядки Гр. Орбеліані: «Де є інша Грузія на світі?»

Майже дослівно перегукуються рядки Шевченка та Іллі Чавчавадзе:

А ще гірше - спати, спати, І спати на волі.

(Т. Шевченко)

О Боже, Боже, все спати, спати, Коли ж прокинутися нам?

(І. Чавчавадзе)

У віршах Шевченка грузинський читач може зустріти й рідні образи, як-от: «сестри-зорі». Цей образ неодмінно нагадає мегрельський фольклор:

თავის „უკრაინის თემიდაში“ 1930 წელს წერდა: „ჯერაც არ შეწყვეტილა შევჩენკოს პიროვნების გალევენდება, მისი სსოვნა პირამიდალურად იზრდება აწ გათვითცნობიერებული უკრაინის ნაციის წარმოდგენაში... იგი მარტო მწერალი როდია უკრაინელთათვის, არამედ უკრაინის კულტურული პატრიოტიზმის მამამთავარი, დიდი რეფორმატორი და ნაციონალური კულტურის დამფუძნებელი“.

და მართლაც, ტარას შევჩენკომ თავისი „კობზარით“ ერთმა პირველთაგანმა გაუნაღდა უკვდავება თავის ერს, ენას, კულტურას, დიდ სულიერ მემკვიდრეობას.

„კობზარი“ ყველა დროის უდიდესი, უკვდავი, სისხლითა და ცრემლით გაჯერებული უკრაინული წიგნია, რომელშიც სევდაცა და სიხარულიც, სასოწარკვეთაცა და მომავლის ურყევი რწმენაც უღრმესად და უნებიავნესადაა გამოხატული.

ამავე დროს „კობზარი“ უთუოდ აღმსარებლური, მეტად პიროვნული, ინტიმური ხასიათის წიგნიცაა. სტატისტიკის მოყვარულებს დაუთვლიათ, რომ მასში ნაცვალსახელი „მე“ 1261—ჯერაა ნახსენები. ავტორი ყველაფერს საკუთარი პოზიციიდან უმზერს, აღიქვამს, აფასებს. მისი ყოველი სტრიქონი, ბანალურად რომ ვთქვათ, გამოწრთობილია საკუთარი სულის ქურაში, დამშვენებულია ოსტატის პირადი დამილით, რაც განსაკუთრებულ ხიბლსა და დამაჯერებლობას მატებს მათ. ენისა და მხატვრული ფორმის უფაქიშესი შეგრძნება, სახისა და აზრის სისადავე, თვით ცხოვრებიდან აღებული პოეტური შინაარსის მრავალსახოვნება, იდეალურისა და ინდივიდუალურის მთლიანობა — აი, „კობზარის“ ღირსებათა არასრული ნუსხა, რაც იზიდავდა და კვლავაც მიიზიდავს მშვენიერისა და ამაღლებულის თავგანისმცემელთ.

ტარას შევჩენკომ მოახერხა თავისი დიადი კრებული სამშობლოს სადარაჯოზე, მისი ხელშეუცებლობის საგუშავოზე დაეყენებინა, რამაც მეფის ხელისუფლება სერიოზულად დააფრთხო. იმის შიშით, ვაითუ უკრაინული წიგნების შემდგომ გამოცემას მოსახლეობის სეპარატისტული და ანტიმეფური განწყობილებები მოჰყვესო, 1863 წლის 30 ივლისს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტრე ვალუევმა ტერიტორიულ საცენზურო კომიტეტებს საიდუმლო ცირკულარი დაუგზავნა რელიგიური და სასწავლო–საგანმანათლებლო წიგნების „მალოროსიოლ“ ენაზე გამოცემის აკრძალვის შესახებ. მართალია, იგი არ ეხებოდა მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვას, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ მალე ასეთი დროც დადგა: რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ 1876 წლის 18 მაისს გერმანულ ქალაქ ბად ემსში ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც უკრაინული ენის კულტურის სფეროდან გამოდევნას და მხოლოდ სასაუბრო–ყოფითი სფეროთი შემოფარგვლას ითვალისწინებდა. იგი უკვე პირდაპირ კრძალავდა უკრაინულ ენაზე ნებისმიერი წიგნის ბეჭდვას, სპექტაკლის დადგმას, სიმღერის სასცენო შესრულებას, სკოლებში სწავლებას.

ეს დოკუმენტი ცნობილია როგორც „ემსკის ბრძანებულება“ და „ვალუევის ცირკულართან“ ერთად ითვლება თვითმპყრობელობის ერთერთ ყველაზე ქსენოფობიურ და სამარცხინო „საკანონმდებლო“ აქტად.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „კობზარი“ იყო ის უმთავრესი ძალა, რომელმაც მოიგერია იმპერიის არნახული ვანდალური შემოტევა, უკუეთ მისი ყოველი სტრიქონი ღაღადებდა თვითმყოფადი ენის, პოზიიისა და კულტურის არსებობას, ამიტომაც ვერ შესძლო ცარიზმმა უკრაინული ლიტერატურის მოსპობა, თუმცა გარკვეულ ეტაპზე მისი განვითარების შეფერხება მოახერხა.

ქართველი კაცის წარმოდგენაში „კობზარი“ უთუოდ გამოიწვევს „დავითიანის“ პარალელს. როგორც მათი ავტორები ჰგვანან

«ясно—лиці зорі - брати і сестри мої».

Шевченківська поезія особливо суголосна з проблемами, порушеними в поемі “Доля Грузії”, тільки Шевченко нещадніший до Богдана Хмельницького, ніж Бараташвілі до царя Іраклія II.

Розмірковуючи про цих двох великих поетів, читач, обізнаний з історією грузинської літератури, може створити ще одну цікаву асоціацію. Можливо, декому вона здасться дещо штучною, але не поспішаймо робити висновок, довіримося логічній течії думки, яка мені уявляється таким чином.

Російсько-кавказька війна позаминулою століття серед інших породила два геніальні твори — «Мерані» Ніколоза Бараташвілі та «Кавказ» Тараса Шевченка. Щоправда, причини їх написання були кардинально різними: для грузинського поета поштовхом стало викрадення горцями його рідного дядька князя Іллі Орбеліані (якого вдалося згодом визволити), а для Шевченка — вбивство ними ж художника, ілюстратора рукописного «Кобзаря» 1844 року, офіцера царської армії графа Якова де Бальмена. Француз за походженням, Бальмен народився на Чернігівщині, був на рік старший за Шевченка, мав короткочасне знайомство з ним, яке переросло у дружбу. Його загибель на кавказькому фронті приголомшила поета і змусила взятися за перо. Однак особисті переживання, які стали першопричиною поетичних роздумів автора, вийшли за межі конкретного факту і набули величезного громадянського звучання. Так само і Бараташвілі, переживши глибоке потрясіння від трагічної долі найближчого родича, створив навидовижу емоційні і водночас насичені філософськими роздумами поезії, де з юнацьким максималізмом заперечується існуючий світопорядок і здійсмається «універсальний бунт вільного розуму» (Гурам Асатіані).

Читач, не втаємничений у передісторію написання «Мерані», навряд чи з його тексту може здогадатися (на відміну від «Кавказу»), що саме спонукало автора до його написання. Однак є у Бараташвілі ще один вірш з досить довгою назвою «Похід грузинських князів і селян проти Дагестану і Чечні, року 1844-го, під керівництвом губернського маршала князя Дмитра Тамазовича Орбеліані», в якому оспівується відвага співвітчизників у двобої з гірськими сусідами. І тут Бараташвілі і Шевченко ніби опиняються на різних, абсолютно протилежних позиціях. Погляд, спрямований на Кавказ з України, не збігається з поглядом, спрямованим туди з Грузії. І справа тут, як може здатися необізнаному читачеві, зовсім не в реакційності великого грузинського поета, а в незаперечних історичних реаліях, які свідчать про неоднозначність і суперечливість взаємин кавказьких народів (у світі майже не знайдуться сусіди, в яких

ერთმანეთს, ასევე — მათი წიგნებიც. ერის ისტორიაში ჩაწული ავტობიოგრაფია, ერის უბედობის ფონზე დახატული საკუთარი უბედობა, — აი, ის მაგისტრალური ხაზები, რომლებიც აერთებს და ანათესავებს ამ ორ დიდ შემოქმედს.

არსებობს მათ ბიოგრაფიებში საინტერესო ანტიპარალელებიც: 24 წლის გურამიშვილი ლეკებმა დაატყვევეს. 24 წლის შევჩენკო რუსმა ინტელიგენტებმა ყმობიდან გამოისყიდეს. 24 წელიწადი გურამიშვილი მემამულე იყო. 24 წელიწადი შევჩენკო მემამულის ყმა იყო. და ბოლოს, კვლავ მსგავსება: შევჩენკო, ისევე როგორც გურამიშვილი, უშვილოდ გადაეყო. კაცმა რომ თქვას, პირადი ცხოვრების მოსაწყობად მას არც დრო ჰქონია და არც პირობები. ხმაში ბზარგაპარული მაინც წაიოცნებებდა ხანდისხან: სახლს დაეიდგამ, ბაღს გავაშენებ და ჩემს პატარა სამოთხეში ვინცთარებო, მაგრამ ეს თვითდაშვნილება უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი ოცნება.

ტარას შევჩენკოს მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ღრმა სევდით ზაპოროჟიეს სიჩის დანგრევის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს ქართველ რომანტიკოსებს — ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს,

ნ. ბარათაშვილს. როგორ ჰგავს მისი: „არ არის ქვეყნად სხვა უკრაინა, სხვა დნიპროვ ქვეყნად აღარსად არი“, გრ. ორბელიანის თითქმის აკენიდან ნაცნობ სტრიქონებს: „სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა!“

თითქმის პირდაპირი გადაძხილი ისმის შევჩენკოსა და ილიას ამ სტრიქონებს შორის:

ასკერ მტრისას ძილი, ძილი,
სამშვიდობოს ძილი.
ტ. შევჩენკო
ოჰ, ღმერთო, ღმერთო, სულ ძილი, ძილი,
როსლა გვედირსოს ჩვენ გაღვიძება.
ი. ჭავჭავაძე

შევჩენკოს ლექსებში ქართველი მკითველი შშობლიურ, დიდი ხნის ნაცნობ სახეებსაც წააწყდება. იგი წერს: „ვარკველავები — დები“ და უნებურად გვახსენდება ცნობილი მეგრული ლექსი.

შევჩენკოს პოეზია განსაკუთრებით ეხმიანება „ბედი ქართლისაში“ წამოჭრილ პრობლემებს, ოღონდ კობზარი უფრო აქიაქებს ბოგდან ხმელნიცის, ვიდრე ბარათაშვილი ერეკლე მეორეს. ამ ორ დიდ პოეტზე საუბრისას ლიტერატურის ისტორიაში ჩახედულ ქართველ მკითხველს შეუძლებელია ვიდევ ერთი საინტერესო ასოციაცია არ აღეძრას, ზოგს იგი იქნებ ხელოვნურადაც მოეჩვენოს, მაგრამ ნუ ვიჩქარებთ დასკვნის გამოტანას და ვენდოთ აზრის ლოგიკურ მდინარეებს, რაც პირადად მე შემდეგნაირად წარმომიდგება:

რუსეთ—კავკასიის ომმა სხვა მრავალთა შორის ორი გენიალური ნაწარმოები შეა: ბარათაშვილის „მერანი“ და შევჩენკოს „კავკასია“. მართალია, მათი დაწერის მიზეზები კარდინალურად განსხვავებული იყო: ქართველ პოეტს კალამი ხელში ააღებინა მთიელთა მიერ ღვიძლი ბიძის ილია ორბელიანის მოტაცებამ (რომლის განთავისუფლებაც მერე მოხერხდა), შევჩენკოს კი ასევე მათ მიერ მხატვრის, 1844 წლის ხელნაწერი „კობზარის“ დამსურათებლის, რუსეთის არმიის ოფიცრის იაკობ დე ბალმენის მკვლელობამ. წარმოშობით ფრანგი ბალმენი ჩერნიგოვის მხარეში დაიბადა, იყო ერთი წლით უფროსი შევჩენკოზე, ჰქონდა მასთან ხანმოკლე ნაცნობობა, რაც მეგობრობაში გადაიზარდა. კავკასიის ფრონტზე მისმა დაღუპვამ პოეტი შესძრა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე დიდი ხელოვანის შემოქმედებაში, პირადი განცდები გასცნენ კონკრეტულ ფაქტს და უზარმაზარი საზოგადოებრივი

ზავჯდი були дружні, безхмарні стосунки).

Грузія, давня православна країна, відтоді, як північний Кавказ став мусульманським, перманентно потерпала від розбійницьких нападів різноманітних гірських племен. Ці напади набули катастрофічного характеру на початку XVIII століття, коли Грузія, розірвана Іраном та Туреччиною, добита внутрішньофеодальними чварами, не була здатна їх витримати. Невеличкі, добре озброєні і мобільні загони північних сусідів несподівано з’являлися там і сям, хапали юнаків і дівчат, забирали майно, викрадали худобу. Нерідко за людей вимагали великий викуп. Однією з таких жертв розбійницького нападу горців став і Давид Гурамішвілі.

Расул Гамзатов, аварський поет, мудра і дотепна людина, якимось пожартував: «Ми ненадовго полонили Давида Гурамішвілі, а він полонив нас назавжди!» Цей красивий афористичний вислів, звичайно, не може згладити той драматичний епізод викрадення дагестанськими розбійниками майбутнього класика грузинської літератури, який після втечі з полону потрапив спочатку в Росію, а потім в Україну і так і не зміг повернутися на улюблену батьківщину.

Кавказ, на жаль, (а можливо, нащастя), ніколи не був єдиним політичним, і тим більше, мовно-культурним організмом. Це, з одного боку, сприяло розвиткові та збереженню унікальної матеріальної і художньої культури багатьох етносів цього краю, перетворенню його у мініатюрну модель світу, а з другого — їхня роздрібненість, роз’єднаність, релігійні, звичаєві та інші розбіжності між ними призводили до міжусобних чвар, ворожнечі і, в кінцевому результаті, зробили їх здобиччю велетенського хижака — Російської імперії, що невпинно розширювала свої кордони, одночасно просуваючись в усіх можливих напрямках.

Треба віддати належне стратегам царату, які тонко використовували особливості історико-культурного розвитку кавказьких народів, їхньої ментальності, темпераменту, національного характеру в цілому. Поставивши за мету колоніальне освоєння Кавказу, вони, ті стратеги, передовсім намагалися не допустити зближення самих кавказців, пускали в хід усі дозволені й недозволені засоби для безвідмовної дії принципу: «Розділяй і владарюй!» (Коли, наприклад, 1915 року в Туреччині сталася різанина вірмен, уцілілих біженців царська влада не пустила на їхню історичну батьківщину, а поселила на напівомусульманеному півдні Грузії, аби на всяк випадок мати там законсервоване вогнище етнічного конфлікту).

Росія, власне, ніколи не приховувала своїх намірів зробити весь Кавказ російським, перетворити його в південний форпост імперії, назавжди закріпитися на Чорноморському узбережжі. До цієї мети вона

ულერადობა შეიძინეს.

ასევე მწარედ განიცადა თავისი უახლოესი ნათესავის ტრაგიკული ბედი ნიკოლოზ ბარათაშვილმა, რომელმაც შეჰქმნა განსაცვიფრებლად ემოციური და ამასთანავე ფილოსოფიური განსჯით აღსავსე ლექსი, „თავისუფალი გონების უნივერსალურ ჯანყად“ (გ. ასათიანი) რომ აღიქმება.

მკითხველი, რომელმაც არ იცის „მერანის“ დაწერის წინასიტორია, მისი ტექსტის მიხედვით ვერ მიხვდება („კავკასიისაგან“ განსხვავებით) თუ რამ დააწერინა იგი პოეტს. ამავე დროს ბარათაშვილს აქვს ერთი ფრიად გრძელსათაურიანი ლექსი „ომი საქართველოს თავადაზნაურ— გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844—სა, მძღვანელობისა ქვეშე ლუბერნიის მარშლის თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“, რომელშიც ხოტბაშესხმულია თანამემამულეების მიერ მთიელ მეზობლებთან შეტაკებისას გამოჩენილი გმირობა. აქ ბარათაშვილი და შევჩენკო დგანან სხვადასხვა, აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე. მიზეზი, რა თქმა უნდა, დიდი ქართველი პოეტის რეაქციულ სულისკვეთებაში კი არა, არამედ იმ ისტორიულ რეალიებშია საძებნი, რომლებიც მოწმობენ კავკასიელ ერთა არაერთსაზოვან ურთიერთობებზე (მსოფლიოში ძნელად მოსაძებნია მეზობელი ქვეყნები, რომლებსაც მუდამ მეგობრული, უღრუბლო დამოკიდებულება ჰქონოდათ).

მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასია გამუსულმანდა, უძველესი მართლმადიდებლური ქვეყანა საქართველო სხვადასხვა ჯურის მთიელ ტომთა პერმანენტულ თავდასხმებს განიცდიდა. ეს თავდასხმები კატასტროფული გახდა XVIII საუკუნის დასაწყისში, როცა ირან—თურქეთის მიერ დანაწევრებულ და შიდაფეოდალური შუღლით დაუძლურებულ ჩვენს ქვეყანას მათი გაძლება უკვე არ შეეძლო. ჩრდილოელ მეზობელთა პატარ—პატარა, კარგად აღჭურვილი და მობილური რაზმები ხან აქ, ხან იქ მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ხოლმე, იტაცებდნენ გოგო—ბიჭებს, ქონებას, მიერეკებოდნენ საქონელს. მთიელთა ერთერთი ასეთი ავაზაკური თავდასხმის მსხვერპლი გახდა დავით გურამიშვილიც.

ავარელმა პოეტმა, ბრძენმა და გონებამახვილმა რასულ გამზათოვმა როგორღაც იხუმრა: ჩვენ დავით გურამიშვილი ცოტა ხნით დაგატყვევეთ, მან კი ჩვენ სამუდამოდ დაგვატყვევავო. ეს ლამაზი და ფრთიანი გამოთქმა, ცხადია, ვერ გაანელებს დრამატულ ეპიზოდს დაღესტნელი ავაზაკების მიერ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის მოტაცებისა, რომელიც ტყვეობიდან გაქცევის მერე ვერ რუსეთში მოხვდა, შემდეგ უკრაინაში და საყვარელ სამშობლოში დაბრუნებას კი ვერ ეღირსა.

კავკასია, სამწუხაროდ, (ან იქნებ სულაც საბედნიეროდ!) არასოდეს ყოფილა ერთიანი პოლიტიკური და, მით უფრო, ენობრივ—კულტურული ორგანიზმი. ეს ერთის მხრივ ხელს უწყობდა ამ მხარის მრავალი ეთნოსის უნიკალური მატერიალური და მხატვრული კულტურის განვითარებასა და შენახვას, მისი სამყაროს მინიატურულ მოდელად გადაქცევას, მეორეს მხრივ კი მათი დაქსაქსულობა, გათიშულობა, რელიგიისა და ადათ—წესების განსხვავება ხშირად იწვევდა მათ შორის მტრობას, რამაც ისინი საბოლოოდ ჩაუგდო ხელში უზარმაზარ მტაცებელს — რუსეთის იმპერიას, რომელიც გამუდმებით იფართოებდა საზღვრებს ყველა შესაძლო მიმართულებით.

უნდა ითქვას, რომ ცარიზმის სტრატეგოსები მოხერხებულად იყენებდნენ კავკასიელ ხალხთა ისტორიულ—კულტურული განვითარების, მენტალიტეტის, ტემპერამენტის, მთლიანად ეროვნული ხასიათის თავისებურებებს. მათ მიზნად დაისახეს კავკასიის კოლონიალური ათვისება და ამ მიზნის მისაღწევად ცდილობდნენ არ



იშლა чотириста років. Йшла вперто, крок за кроком, не шкодуючи ні людських життів, ні матеріальних ресурсів.

Росія тимчасово справді підкорила Кавказ. Одні народи до неї були приєднані «добровільно», на засадах двосторонніх дипломатичних угод, дарма що невдовзі розірваних в односторонньому порядку. Іншим же після багатолітнього виснажливого протистояння довелось скласти меча і зробити вигляд, що здалися. Зовнішніх ознак підкорення, до того ж вельми красномовних, було достатньо. Після поразки і захоплення в полон великий імам Дагестану Шаміль входить до російської еліти, його сини стають генералами імперської армії, з представників переможених кавказьких народів створюється так звана «Дика дивізія», а добірні чеченські вояки (ледь не написалося — бойовики!) охороняють царську родину. Я вже не кажу про багатьох грузинських вельмож, які досить активно поповнюють лави російського генералітету. Тих же, хто не мириться з поразкою, насильницьки виселяють за межі етнічної батьківщини. Цей незаперечний факт, до речі, свідчить про те, що депортація народів зовсім не вигадка Сталіна. Вигнання з рідних місць цілих етносів, що набуло справді страхітливих масштабів у радянський час, було педантичним продовженням апробованої в XIX столітті в Російській імперії практики. Так після «мирного приєднання» Кавказу до Росії були виселені абхази, черкеси, убиhi (про трагічну долю цього зниклого вже народу можна

დაეშვათ თვით კავკასიელთა ურთიერთდაახლოება. იყენებდნენ ყველა ნებადართულ თუ აკრძალულ ხერხს „გათიშე და იბატონეს“ პრინციპის უღალატოდ მოქმედებისთვის. (როცა, მაგალითად, 1915 წელს თურქეთში სომეხთა ხოცვა–ჟლეტა დაიწყო, მეფის ხელისუფლებამ ლტოლვილები არ შეუშვა მათ ისტორიულ სამშობლოში და ისინი ნახევრადგამაჰმადიანებულ სამხრეთ საქართველოში ჩაასახლა, რათა იქ ყოველი შემთხვევისთვის ეთნიკური კონფლიქტის დაკონსერვებული კერა ჰქონოდა.

რუსეთს, სხვათა შორის, არასოდეს დაუმალავს სურვილი დამორჩილებინა მთელი კავკასია, ექცია იგი იმპერიის სამხრეთ ფორპოსტად, საუკუნოდ დამკვიდრებულიყო შავი ზღვის სანაპიროზე. ამ მიზნისკენ იგი ოთხი საუკუნე მოდიოდა. მოდიოდა ჯიუტად, ნაბიჯ—ნაბიჯ, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსთა დაუზოგავად.

რუსეთმა დროებით მართლაც დაიმორჩილა კავკასია. ზოგიერთი ერი მას „ნებაყოფლობით“ ორმხრივი დიპლომატიურის საფუძველზე შეუერთდა. რომელიც სულ მალე ცალმხრივად გაითელა. ზოგიერთმა კიდევ ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ხმალი ქარქაშში ჩაავო და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს დანებდა. დამორჩილების მაგალითი, თანაც მრავლისმეტყველი, საკმარისად იყო. დამარცხებისა და ტყვედ აყვანის შემდეგ დაღესტნის დიდი იმამი შამილი რუსულ ელიტაში შედის, მისი ვაჟები იმპერიის არმიის გენერლები ხდებიან, დამორჩილებულ კავკასიელ ერთა წარმამადგენლებისგან იქმნება ეგრეთწოდებული „ველური დივიზია“, ხოლო რჩეული ჩეჩენი მეომრები (კინალამ „ბოეიკები“ დავწერე!) მეფის ოჯახს იცავენ. მე უკვე არას ვამბობ ბევრ ქართველ დიდებულზე, რომლებიც აქტიურად აგსებდნენ რუსული გენერალიტეტის რიგებს. მათ, ვინც დამარცხებას არ ურიგდება, ძალით ასახლებენ ეთნიკური სამშობლოს გარეთ. (ეს უცილო ფაქტი, სხვათაშორის, მოწმობს იმას, რომ ერთა დეპორტაცია სულაც არაა სტალინის გამონაცონი).

მთელი ეთნოსების მშობლიური ადგილებიდან აყრა, რამაც საბჭოთა პერიოდში მართლაც ამაზრზენი მასშტაბები მიიღო, XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ აპრობირებული პრაქტიკის პედანტური გაგრძელება იყო. რუსეთთან კავკასიის „მშვიდობიანი“ მიერთების შემდეგ მკვიდრი ადგილებიდან გაასახლეს აფხაზები, ჩერქეზები, უბიხები (ამ უკვე გამჟღავლი ერის ტრაგიკულ ბედზე შევიძლიათ წაიკითხოთ აფხაზი მწერლის ბაგრატ შინჭუბას წინში „ უკანასკნელი უბიხი“). იმ სამნიელ დროთა სახსოვრად აფხაზურ ენაში დღემდე არსებობს სედიანის სიტყვა „მოჰაჰირი“, რაც ძალით გაძევებულს, დეპორტირებულს ნიშნავს.

უკრაინელი პოეტი „კავკასიაში“დაუნდობლად ახევს ნილას იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ მჩაგვრელებსა და დამპყრობლებს, მათ, ვინც სინამდვილეში „ლაქიები, პირფერები, ღვთისგან შეჩვენებულნი“არიან, იგი შესაშური პირდაპირობითა და შემართებით ააშკარავებს დიდმპყრობელური შოვინიზმის მთელ ანატომიას, გვიჩვენებს ადგილობრივი ხალხების მიმართ შეუფარავ ცინიზმსა და ღრმა უპატიცემლობას ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც სურს, რომ მშის სინათლისთვისაც ხარკს უხდიდნენ.

საინფორმაციო საბაზმა, როგორც დღეს იტყვიან ხოლმე, ორი სხვადასხვა ეროვნების პოეტში, ორი განსხვავებული რეაქცია გამოიწვია. ბარათაშვილს მან გაუმძაფრა ისტორიული ხსოვნა, თვალწინ გაუყოცხლა ლეკიანობის სურათები, შეეჩვენოს კი ერთხელ კიდევ შეახსენა თუ ვის უღელქვეშ გმინავდა მისი სამშობლო. „კავკასიაში“ შეეჩენკო ამხელს ცარიზმს არა მარტო როგორც

прочитати в романі абхазького письменника Баграта Шинкуби «Останній з тих, хто пішов»). В абхазькій мові досі існує печальне слово «махаджир» — насильно вигнаний, депортований, на згадку про ті страшні часи.

Український поет нещадно зриває маску з обличчя гноби–телів і завойовників з імперськими амбіціями, з тих, хто наспра–вді є «суєслови, лицеміри, господом прокляті». Він із заздрісною прямотою і відвагою висвічує всю анатомію великодержавного шовінізму, показує неприхований цинізм і глибоку зневагу до туземних народів з боку офіційної влади, якій хотілося б, аби їй платили навіть за сонце!

Інформаційний привід, як сказали б сьогодні, — у двох поетах різних національностей викликав дві відмінні реакції. У Бараташвілі він загострив національну пам'ять, яка оживила перед очима картини лезгинської сваволі, а Шевченкові ще раз нагадав, під чиїм ярмом стогнала його батьківщина. В “Кавказі” Шевченко викриває царат не тільки як ката українського народу, а й душогуба інших народів, і саме це є наріжним каменем його завзяття.

Слов'янин Шевченко не вітає, а рішуче засуджує агресив–ність «слов'янської зброї», загарбницький апетит слов'янського царя. Його поема - ніби поетична протитрута для «московської от–рути», що її довелось «запити з московської чаші» Якову де Ба–л'мену. На Кавказ він дивиться очима доброзичливця, друга, од–нодумця, бо пам'ятає сплюндровану тими ж «просвітителями» історію власного народу, яка німо волає до нього з розритої мо–гили.

Шевченко скупим розчерком пера викарбував надзвичайно містку, я б сказав, універсальну метафору про цинічну сутність російського самодержавства, повністю підтверджену і всією радянською дійсністю:

У нас же й світа, як на те —
Одна Сибір неісходима,
А тюмр! а люду!.. Що й лічить!
Од молдованина до фінна
На всіх языках все мовчить,
Бо благоденствує!..

Очевидна масштабність, всеохопність поетичного спостереження, в якому сфокусовані національні трагедії поневолених народів:

Кати знущаються над нами,
А правда наша п'яна спить.

Тарас Шевченко беззастережно став на бік правди і справедливості, на бік добра і доброти, відверто висловив власне обурення насильством і святенництвом, гнівно затаврував національну

უკრაინის ჯალათს, არამედ სხვა მრავალ ერთა სულთამხედლსაც და სწორედ ესაა მისი შემართების ქვაკუთხედი.

სლაეი შეეჩენკო კი არ იწონებს, არამედ გადაჭრით გმობს „სლავერი იარაღის“ აგრესიულობას, სლაეი მეფის დიდმპყრობელურ მადას. კავკასიას იგი უყურებს კეთილმოსურნის, მეგობრის, თანამოაზრის თვალით. რადგან ახსოვს იმავე „განმანათლებლების“ მიერ გაქედილი მშობლიური ისტორია, გათხრილ—გაძარცვული ყორღანებიდან რომ შემოჰღაღადებს მას.

შეეჩენკომ კალმის ძუნწი მოსმით გადმოგვცა რუსული ტირანისი ცინიკური არსი, რაც საესეებით დაადასტურა საბჭოურმა სინამდვილემაც: ჩვენ თვალწუდენი გვაქვს მიწა–წყალი, აღწყავია ციმბირის მადლი. ციხეში გვიზის მაგნე და მტერი! მოლდაველის და ფინელის ჩათვლით ყველა ენაზე დუშს ყველა ერი, ნეტარებს რადგან...

აშკარაა მასშტაბურობა და ყოვლისმომცველობა პოეტური დაკვირვებისა, რომელშიც ფოკუსირებულია დამონებულ ხალხთა ეროვნული ტრავმებიც:

გვერდით ჯალათი დგას ამაზრზენი,
ხოლო სიმართლეს მთვრალივით სძინავს.

შეეჩენკო დაურიდებლად დადგა სიმართლისა და სამართლიანობის, სიკეთისა და კეთილშობილების მხარეზე, მან გულახდილად გამოხატა ძალადობითა და მკრეხელობით გამოწვეული აღშფოთება, მრისხანედ გაამთარახა ეროვნული ქედმაღლობა და სიყოყოჩე.

იმავე „უკრაინის თემიდაში“ კონსტანტინე გამსახურდია გოგოლზე საუბრისას, ჰქონდა რა მხედველობაში მისი უკრაინული წარმოშობა, წერს: ვერც ერთი რუსი ვერ შენიშნავდა ასე მკაფიოდ რუსული ცხოვრების უარყოფით მხარეებსო. მსგავსი რამ შეიძლება ითქვას შეეჩენკომეც, რომელიც თავის სახელოვან მოძმესაგით არა მარტო ამჩნევდა მათ, არამედ ამხელდა კიდევ. მისი „კავკასია“ თავისებური კოდექსია უკრაინული ლიტერატურის სხელ—ღირსებისა, მხატვრული მანიფესტია მისი სულიერი პირველსაწყისებისა.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფთქრა, რომ „კავკასია“ მხოლოდ კავკასიაზეა. როგორც ყველა ჭეშმარიტად გამორჩეულ ქმნილებას, მასაც აქვს პირდაპირი და სიმბოლური შინაარსი, ერთი შეხედვით შიშველი პუბლიცისტური რეჩიტატივის მიღმა ილანდება უფრო რთული, მეტაფორული დონე, რომელსაც ჰქმნის პრომეთეოსის, თავად კავკასიისა და უკრაინის სამი ურთიერთდაკავშირებული მხატვრული სახე.

სადღაც, ძალიან შორს, ბინდმოგარსულ მთებს იქით ჩაკარგულა პრომეთეოსის მარადიული ტანჯვის რომანტიკულ—ტრაგიკული მხარე. პრომეთეოსი — სიკეთის უკვდავი სიმბოლო — იტანს ყველა განსაცდელს, რათა ადამიანებს უჩვენოს სიმტკიცისა და გამძლეობის მაგალითი, დაარწმუნოს ისინი ბოროტების წინააღმდეგ თუნდაც საკუთარი წამების ფასად ბრძოლის აუცილებლობაში („პრომეთე, ღირდა — ღირდა, ცხადია! — მან ღრულებიდან მომიგო ასე!..“ – ადასტურებს თითქოს ამ აზრს ლინა კოსტენკო).

სახელდობრ კავკასია პოემაში წარმოსდგება როგორც არწივის მიერ დაძიძგნილი რაინდის განზოგადებული სახე, რომლის პორტრეტული დახასიათებისთვის ავტორს ჰყოფნის რამდენიმე ტრადიციულად გავრცელებული შტრიხი („მთებს გადაღმა მთები...“. „მჭადი...“ და სხვ.), რადგან მისთვის მთავარია გამოწვლილვით დახატვა არა რეალური კავკასიისა, არამედ თავისუფლებისმოყვარე მთიელთა ძარცვის, შეურაცხყოფის, ოკუპაციის დამაჯერებლად ჩვენება, ამ თვალსაზრისით

зверхність і чванство.

Зойком пекучої, невмирущої правди можна назвати поему «Кавказ», де автор продемонстрував неабияке вміння докопуватися до істини, бачити далеко наперед, безпомилково розставляти поетичні і політичні акценти.

У своєму есе «Українська Феміда» Константіне Гамсахурдіа зауважує про Гоголя, маючи на увазі його українське походження: «Жоден росіянин не помітив би так виразно негативні сторони російського життя». Цю фразу, гадаю, можна повторити й на адресу Шевченка, який, подібно своєму славетному побратимові, не тільки помічав їх, а й сміливо викривав. Будучи поетом з Божої ласки, він мав, разом з блискучим хистом віршотворця, ще й нечувану мужність звинуватити сильних світу цього в деспотизмі, попранні святих людських прав. Його «Кавказ» — це своєрідний кодекс честі української літератури, художній маніфест її духовних першооснов.

Було б наївно думати, що «Кавказ» тільки про Кавказ. Як будь-який істинно видатний твір, він має пряме і символічне прочитання. Заголовок і епіграф лише вводять нас у загальну атмосферу оповіді, вказують на ґрунт і коріння, з яких ця оповідь проростає. Такий рівень цілком реалістичний і загальнодоступний — речі названі своїми іменами, вказано конкретне місце дії, прямо, різко і безкомпромісно висловлена авторська позиція. Однак, на перший погляд, за оголено-публіцистичним речитативом ховається складніший, метафоричний рівень, який створюють три взаємопов'язані образи: Прометея, власне самого Кавказу й України.

Десь далеко-далеко, за імлістими горами загубився романтично-трагічний край — місце вічних Прометеевих тортур. Прометей — невмирущий символ добра — зносить всі важкі страждання, щоб продемонструвати людям приклад стійкості й витривалості, переконати їх у необхідності протистояння злу ціною особистих фізичних мук. («О Прометею! Варто?! — Варто! — Так він сказав мені з-за хмар», — підтверджує ніби цю думку Ліна Костенко).

У поемі і сам Кавказ постає як узагальнений образ орлом покараного лицаря, для портретної характеристики якого автору досить кілька традиційно поширених штришків («сині гори...», чурек і сакля» тощо), бо йому важливо не стільки достовірне змалювання реального Кавказу, про який, очевидно, мав досить туманне уявлення (як впливає зі спогадів Акакія Церетелі, український поет майже нічого не чув про Грузію, в столиці якої, до речі, в XIX столітті знаходився адміністративний центр усього Кавказу), скільки переконливе відтворення вкрай

პოეტი აღწევს მაქსიმალურ ეფექტს — მის მიერ გაშარჟებული ყვეფნი, არამზადა დამპყრობელი მკითხველში ცალსახა ზიზღს იწვევს.

იმავე მძარცველის მიერ კავკასიის ეპოპეამდე დიდი ხნით ადრე გავერანებული უკრაინის სახე აგვირგვინებს პოეტის ფიქრს თავისუფლებაზე, ეროვნულ ღირსებაზე, სულის სიდიადეზე.

საბჭოთა „ხალხთა მეგობრობის“ ეპოქაში, როცა არ იყო მიღებული (უფრო სწორად – ნებადართული) „უხერხულ“წარსულზე საუბარი, „კავკასიამ“ თითქოს დაკარგა პოლიტიკური სიმწვავე და მას განიხილავდნენ მხოლოდ როგორც მაღალმხატვრულ პოეტურ ნაწარმოებს. რუსულ–კავკასიური კონფლიქტის ახალმა აფეთქებამ, ჩეჩნეთში ფართომასშტაბური სამხედრო ოპერაციების გაშლამ, 2008 წლის აგვისტოში კი საქართველოზე რუსეთის ვერაგულმა თავდასხმამ და მთელ სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ კვლავ გააღვივა ინტერესი შეგენკოს პოემის მიმართ, რომელშიც დრო თითქოს გაყინულია და მარადიულ აწმყოდ ქცეულა. ნაწარმოების ლიტერატურული, სოციალური თუ ისტორიული კონტექსტი თითქმის არ შეცვლილა, შეიცვალენ მხოლოდ მოქმედი პირები და შესარულებლები.

ტარას შეგენკოს პოემა „კავკასია“ ისევ შეგვასვენებს მისი ძირითადი პოსტულატების პლანეტარულ მნიშვნელობასა და აქტუალობას, შეგვასვენებს ერთა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უალტერნატივობას, კულტურათა შორის მუდმივი დიალოგის აუცილებლობას.

თანამედროვეობის პრიმიდან დანახული ნამყო და ბოლო ნერვამდე გამომწვებული აწმყოა შეგენკოს ბოლოქარი პოეზიის ორი უმთავრესი, მაცოცხლებელი წყარო. მის პიროვნებაში განუმეორებელი უშუალობით შეერწყა ერთმანეთს დინჯი ეპიკოსისა და ფიცხელი სატირიკოსის ელვარე ნიჭი.

„ფოლადის გული უნდა გქონდეს, სურათი რომ დახატო, პოეტს ფოლადის გული სჭირდება, რათა საკუთარ თავში ლექსი დააფრთიანოს“, — შენიშნავდა თავის დღიურში დელაკრუა. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ შეგენკოს, პოეტსა და მხატვარს, ორმაგი ფოლადის გული სჭირდებოდა. და იგი მართლაც წკრიალებდა ნაწრთობი ფოლადივით, მისი ღრმა, ბროლივით სუფთა ოცნებებისა და იმედების გამერტონივით.

ყველას გვახსოვს აკაკის უდრმესი გულისტკივილითა და ამავე დროს მამულიშვილური გულახდილობით ნათქვამი: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!..“ ასევე ახსოვს და ვერც ვერასოდეს დაიფიწყებს უკრაინა ეროვნული სიამაყის გრძნობადაკარგულ მოლაყებეთა მიმართ შეგენკოს გამანადგურებელ სარკაზმს, რომელიც ჩაქსოვილია პოემაში „მკვდარ, ცოცხალ და ჯერარშობილ თანამემამულეებს ჩემსას უკრაინასა და უკრაინის მიღმა ჩემი მეგობრული უსტარი:

„მოგოლებო, მოგოლებო“,
გეტყვით გერმანელი.
თქვენ ხართ ოქროს ტამერლანის
ბადიშები ბნელი.
გეტყვით იგი: „სლავები ხართ!“
თავს დაუკრავთ: „ვართო!“
სახელოვან დიდ პაპათა
მოდგმა უწაღმართო.

თანამემამულეთადმი ასეთი გააფთრებული შეტევის, მათი მწარედ დატუქსვის უფლება მხოლოდ ერის წინამძღოლსა და წინასწარმეტყველს ჰქონდა და თუმცა თვითონ შეგენკოს პრაქტიკული მოქმედების საშუალება არ გააჩნდა, მისი ბასრი, უღმობელი სიტყვა თავისას მაინც აკეთებდა.

напруженої, принизливої для волелюбних горців атмосфери загарбання, насильства, окупації. З цієї точки зору поет досягає максимального ефекту — зшаржований ним самозакоханий поневолювач-самодур викликає в читача однозначну відразу.

Образ України, окраденої й ошуканої тим же загарбником задовго до кавказької епопеї, увінчує поетову думу про Свободу, Національну гідність, велич Духу.

В епоху «суцільної дружби» радянських народів, коли не прийнято було (вірніше — не дозволялось) говорити про «незручне» минуле, «Кавказ» ніби втратив політичну гостроту і розглядався виключно як високохудожній поетичний твір. Утім, новий спалах протистояння на Кавказі, розгортання широкомасштабних військових операцій в Чечні, що тривають і досі, знову привернули увагу до Шевченкової поеми, в якій час ніби застиг, перетворившись у вічну теперішність. Літературний, соціальний, історичний контекст поеми майже не змінився, змінилися лише дійові особи і виконавці.

Безсмертна поема Тараса Шевченка «Кавказ» ще раз підкреслює планетарну значущість і надзвичайну актуальність її основних постулатів, нагадує про безальтернативність мирного співіснування народів і держав, про необхідність постійного міжкультурного діалогу, палко апелює до відстоювання всім світом вищих ідеалів честі, перемоги над злом, торжества правди.

Побачене крізь призму сучасності минуле і оголена до останнього нерва сучасність — два основні живлющі джерела бурхливої поезії Шевченка. У його особі неповторно злилися блискучий талант лірика і темперамент сатирика. Усі ми пам’ятаємо сповнені глибокого болю і синів–ської відвертості слова Акакія Церетелі: «Ти достойна плювка, Грузіє». Так само пам’ятає і ніколи не зможе забути Україна нищівного сарказму Шевченка, висловленого в поемі «І мертвим, і живим...» проти тих балакунів, що втратили почуття національної гордості:

Німець скаже: «Ви могли».
«Моголи! Моголи!»
Золотого Тамерлана
Онучата голі.
Німець скаже: «Ви слав’яне».
«Слав’яне! Слав’яне!»
Славних прадідів великих
Правнуки погані!

Право на таку розгнівану атаку на співвітчизників, їх суворе відчитування мав лише духовний проводир народу, і, хоча сам Шевченко був позбавлений можливості практичних дій, його гостре, нещадне слово робило своє.

Рауль Чілачава

შეხვედრა პოლტავაში

ЗУСТРІЧ У ПОЛТАВІ



2013 წლის 25 დეკემბერს უკრაინის ქალაქ პოლტავაში ოფიციალური მიღება და საზეიმო ღონისძიება გაიმართა. წვეულება უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მიხეილ უკლებას ვიზიტს და საახალწლო დღესასწაულებს უკავშირდებოდა. ღონისძიება პოლტავის გოგოლის სახელობის თეატრში დაიწყო, სადაც რეჟისორ ც. კობიაშვილის სპექტაკლი „ხანუმა“ იქნა წარმოდგენილი. სპექტაკლის შემდეგ მიხეილ უკლება პოლტავის ოლქის გუბერნატორ ალექსანდრ უდოვიჩენკოს შეხვდა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორი მეგობარი ქვეყნის თანამშრომლობას, ეკონომიკას, ტურიზმს და ასევე ეროვნულ–კულტურულ საკითხებს.

საქართველოს ელჩს შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებმაც მოუწყვეს პოლტავის ეკონომიკისა და ვაჭრობის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. ქართულ საზოგადოებასთან ერთად შეხვედრას აღნიშნული სასწავლებლის რექტორი ალექსეი ნესტული, პროფესორთა ჯგუფი და სტუდენტები ესწრებოდნენ. პოლტავაში მოღვაწე ქართველებსა და მიხეილ უკლებას შორის საინტერესო დიალოგი გაიმართა,

დაისახა სამომავლო გეგმები, შეხვედრა უფრო გაცნობით ხასიათს ატარებდა, რადგან ელჩისთვის ეს იყო პირველი შეხვედრა პოლტავის ოლქის ქართველ მოსახლეობასთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

25 грудня 2013 року в місті Полтава відбувся офіційний прийом та святковий захід. Прийом був присвячений приїзду Надзвичайного та повноважного Посла Грузії в Україні Міхеїла Уклеби та новорічним святам. Захід розпочався у Театрі імені Гоголя, де представили спектакль «Ханума» режисера Ц. Кобіашвілі.

Після спектаклю, Міхеїл Уклеба зустрівся з Губернатором Полтавської області Олександром Удовиченком. Під час зустрічі обговорили співпрацю між двома дружніми країнами в економічній, туристичній та національно-культурній сферах.

Посла Грузії також зустріли представники грузинської діаспори в актовому залі Полтавського Університету економіки і торгівлі. Разом з грузинською діаспорою на зустрічі був присутній ректор згаданого Університету Олексій Нестуля, група професорів та студентів. Між Послом та грузинами, що проживають в Полтаві відбувся цікавий діалог, були



обговорені плани на майбутнє. Зустріч мала ознайомчий характер, оскільки це була перша зустріч Міхеїла Уклеби з грузинським населенням міста Полтави та місцевим самоврядуванням.

1924 წლის აჯანყება სამეგრელოში

ПОВСТАННЯ У МЕГРЕЛІЇ 1924 РОКУ

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა ვერაგულად დააარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ–საქართველოს ხელშეკრულება და დაიპყრო დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. მიუხედავად ამისა, ანტისაბჭოთა განწყობა ქვეყანაში არ შენელებულა, რაც განაპირობა მოსახლეობის დიდი ნაწილის მასობრივმა უკმაყოფილებამ, გამოწვეულმა 1921 წლის თებერვალ–მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციითა და მისი თანამდევი მოვლენებით.

აღნიშნულ პერიოდში მომხდარმა ლოკალური ხასიათის



ამბროსი ლუკას ძე სიჭინავა. აჯანყების მონაწილე. დახვრიტეს 1924 წლის 3 სექტემბერს

1921 року Радянська Росія віроломно порушила російсько-грузинський договір, укладений 7 травня 1920 року і завоювала незалежну демократичну Грузію. Влада була змушена емігрувати. Незважаючи на це, антирадянський настрій у країні не охолонув і велика частина населення була незадоволена подіями, що сталися в лютому-березні 1921 року, коли Радянська Росія окупувала територію Грузії, а також, тим, що відбулося згодом.

У вказаний період локальні збройні сутички в Сванеті, Хевсуреті та Гурії зазнали поразки. На міжнародній конференції в Італії, Генуї, прийняті рішення для Грузії не були сприятливими – на засідання не допустили представника влади, який на той час перебував у еміграції.

Усі політичні партії (зрозуміло, крім більшовиків) готували повстання з метою встановлення незалежності.

До середини 1922 року антирадянські партії погодили та заснували комітети незалежності, а восени того ж року - так званий воєнний центр, безпосереднім завданням якого була підготовка повстання.

Опір набув активного характеру по всій країні. У Мегрелії практична робота над повстанням почалася з літа 1924 року. Після подолання існуючого спротиву (генерал Топурія та полковник Джіджіхія в останній момент відмовились брати участь у повстанні) регіональний воєнний штаб керівником опору призначив Давіда Мхеїдзе (він же повинен був керувати повстанцями у сенакському окрузі), у зугдідському окрузі повстанський рух очолив Естате Латарія.

Завдяки переконанням представників регіонального паритетного комітету братів Шалви та Акакія Каландарішвілі, керівника сенакського окружного комітету Ванო Есванджія, а також Давіда Мхеїдзе та Естате Латарія, загони, існуючі в Мегрелії, були готові до повстання.

Член паритетного комітету Тедо Есартія повідомив усім існуючим в регіоні передовим загонам точну дату початку повстання. У Сенакі основну силу опору представляв місцевий озброєний загін чисельністю 200 чоловік. У

მქონე შეიარაღებულმა გამოსვლებმა სვანეთში, ხევსურეთსა და გურიაში მარცხი განიცადეს. არც იტალიაში, გენუაში, გამართული საერთაშორისო კონფერენციის შედეგები გამოდგა საქართველოსათვის სახარბიელო — მის სხდომაზე არც კი დაუშვეს ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წარმომადგენლები.

ყველა პოლიტიკურმა პარტიამ (ცხადია, გარდა ბოლშევიკებისა) დაიწყო მზადება აჯანყებისათვის დამოუკიდებლობის აღენის მიზნით.

1922 წლის შუა ხანებისათვის ანტისაბჭოთა პარტიებმა მიიღწიეს შეთანხმებას და ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის კომიტეტი, ამავე წლის შემოდგომაზე ე.წ. სამხედრო ცენტრი, რომლის უშუალო დანიშნულებას აჯანყების მომზადება წარმოადგენდა.

მზადებამ აჯანყებისათვის საკმაოდ აქტიური ხასიათი მიიღო მთელს ქვეყანაში. სამეგრელოში აჯანყებისათვის პრაქტიკული მუშაობა 1924 წლის ზაფხულიდან დაიწყო. რეგიონის სამხედრო შტაბში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის შემდგომ (გენერალმა თოფურია და პოლკოვნიკმა ჯიჯიხიამ ბოლო მომენტში უარი თქვეს აჯანყებაში მონაწილეობაზე) აჯანყების საერთო მეთაურად დაინიშნა დავით მხეიძე (მასვე უნდა ხელმძღვანელა აჯანყებისათვის სენაკის მაზრაში), ზუგდიდის მაზრაში კი აჯანყებულებს ესტატე ლატარია ჩაუდგა სათავეში.

რეგიონალური პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენლების ძმები შალვა და ავაკი კალანდარიშვილების, სენაკის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელის ვანო ესვანჯიას, ასევე დავით მხეიძისა და ესტატე ლატარიას მტკიცებით სამეგრელოში მოქმედი რაზმები მზად იყვნენ აჯანყებისათვის.

პარიტეტული კომიტეტის წევრმა თედო ესართიამ რეგიონში მოქმედ ყველა ძირითად რაზმს აცნობა აჯანყების დაწყების ზუსტი თარიღი. სენაკში აჯანყებულთა ძირითად ძალას წარმოადგენდა აქვე მოქმედი ორასკაციანი შეიარაღებული რაზმი. ზუგდიდის მაზრაში პარიტეტის მთავარი დასაყრდენი ესტატე ლატარიას განკარგულებაში არსებული რაზმი იყო. შეიარაღებული რაზმები იყვნენ ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის, უშაფათის, აბაშის რაიონებშიც, თუმცა ისინი რიცხოვნობიდან მეტად ჩამორჩებოდნენ ადგილობრივ კომუნისტებს და მათი წარმატება აჯანყებისას უშუალოდ ზუგდიდისა და სენაკის რაზმებზე იყო დამოკიდებული.

აჯანყებულთა პარალელურად ემზადებოდნენ კომუნისტებიც, მათ წინასწარვე (ჩეკას დაზვერვითი სამუშაოების შედეგად) ჰქონდათ დაწვრილებითი ინფორმაცია აჯანყებულთა გეგმებზე.

29 აგვისტოს ღამის პირველ საათზე ზუგდიდის მილიციის ხელმძღვანელმა იოსებ ჯანაშიამ მიიღო ცნობა, რომ სენაკის მაზრაში უკვე დაიწყო გამოსვლები. აჯანყებულებმა ზუგდიდზე იერიში 29 აგვისტოს დილის ოთხ საათისათვის მიიტანეს. ზუგდიდის მილიციის ხელმძღვანელობა თავად ჩიქოვანის ყოფილ სასახლეში იყო გამაგრებული, აჯანყებულთა შტაბი კი — მაცხოვრის კარის გორაზე მდებარე ეკლესიაში.

გამთენიისას დაწყებული შირაღებული დაპირისპირება დღისით მთელი ქალაქის მასშტაბით გაიშალა. ბრძოლები პერიოდულად მიმდინარეობდა საინფორაციო პუნქტის შენობასთან, დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავადმყოფოსთან, ციხის ტერიტორიაზე.

ადგილობრივმა მილიციამ ვერ გაუძლო აჯანყებულთა მასიურ შემოტევებს. დაიწვა ინფორმპუნქტის შენობა, აჯანყებულებმა ხელთ იგდეს აღმასკომის შენობაში შენახული იარაღისა და ტყვია-წამლის

ზუგდідському окрузі існуючий загін підпорядковувався паритетному головуючому Естате Латарія. Також, озброєні загони були в районах Чхороцку, Хобі, Цаленджіха, Ушапаті та Абаші, хоч вони численно були меншими за місцеві комуністичні угруповання та успіх їхнього опору безпосередньо залежав від зугдідських та сенакських загонів.

Комуністи паралельно теж готувались до бунту, так як попередньо були детально проінформовані (у результаті роботи розвідки «ЧК») про плани повстанців.

29 серпня о першій годині ночі начальник зугдідської міліції Іосеб Джанашія дізнався, що в Сенакському окрузі вже почали діяти повстанці. Уранці о четвертій годині 29 серпня вони пішли в атаку на Зугдіді. Зугдідська міліція



დავით მხეიძე – აჯანყების საერთო მეთაური თანამებრძოლებთან ერთად. ზის მარჯვენა

зібралася в бувшому помісті князя Чіковані, а штаб повстанців був розміщений на пагорбі у місцевій церкві.

Озброєні сутички, що почалися на світанку, вдень переросли до масштабів міста. Битви періодично відбувалися біля будівлі інформаційного пункту, на прилягаючих територіях помістя Дадіані, лікарні та в'язниці.

Місцева міліція не змогла придушити масивні атаки

მარაგი. შეტაკებისას დაიღუპა მილიციის უფროსის მოადგილე გრიგოლ როგავა და წალენჯიხის ბიუროს უფროსი გოგია. აჯანყებულთა წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო სამხედრო კომისარ ჩიჩუას რაზმმაც. ადგილობრივი კომუნისტებისა და მილიციელთა მდგომარეობა სულ უფრო კრიტიკული ხდებოდა.

29 აგვისტოს, დილით ზუგდიდის უდიდესი ნაწილი უკვე აჯანყებულთა ხელში იყო. მათ დაიწყეს პასუხისმგებელი კომუნისტების განიარაღება და დაპატიმრება. ჩამოაყალიბეს



ბიქტორ ვეკუა – აქტიურად იბრძოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ

ქალაქის დროებითი მმართველობა, სამხედრო საქმეების გაძღოლა ესტატე ლატარიამ სოცდემოკრატ ვლადიმერ გეგეჭკორს დაევალა.

30 აგვისტოს აჯანყებულებსა და მილიციელებს შორის შეტაკება მოხდა ზუგდიდის ციხის ტერიტორიაზე. შეიაღებული დაპირისპირების შედეგად ორივე მხარემ დაკარგა რამდენიმე მეგრძოლი. გვიან ღამით ზუგდიდში კომუნისტების ახალი ძალები შემოვიდნენ სამურზაყანოდან გალის საოლქო კომიტეტის მდივნის ნიკოლოზ აქირთავასა და საინფორმაციო პუნქტის უფროსის შარიას მეთაურობით.

აქირთავას რაზმი დაკომპლექტებული იყო გამოცდილი მეგრძოლებისაგან და რიცხობრივად ერთიორად აღემატებოდა აჯანყებულებს, ამიტომ ადვილად შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება და მათ მიერ დაკავებული ყველა შენობის განთავისუფლება.

40მეგრძოლისამარა დარჩენილმა ესტატე ლატარიამ 30 აგვისტოს საღამოს მიიღო გადაწყვეტილება ახალსენაკის მიმართულებით დახვეის შესახებ. თუმცა სოფელ ცაიშთან მათ მოუხდათ ბრძოლა სოფელ ჯოდეკიანში მცხოვრები კომუნისტების რაზმთან, რომელსაც ალექსანდრე თოლორაია ხელმძღვანელობდა. ლატარიას რაზმმა ამ ბრძოლაში სრული კრახი განიცადა. რამდენიმე მთევანი, მათ შორის ესტატე ლატარია, დააპატიმრეს.

повстанців. Згоріла будівля інфопукту, повстанці захопили зброю та боеприпаси, що зберігалися у приміщенні виконавчого комітету. При зіткненнях загинув заступник начальника міліції Грігол Рогава та начальник Цаленджіхського бюро Гогія. Загін воєнного комісара Чічуа також нічого не зміг вдіяти проти повстанців. Стан місцевих комуністів та міліції ставав все більш критичним.

Уранці 29 серпня більша частина Зугдіді вже була в руках повстанців. Вони почали роззброєння та арешти відповідальних комуністів. Була встановлена тимчасова міська влада, а завідуючим воєнними справами Естате Латарія призначив Владімера Гекечкорі.

30 серпня між повстанцями та міліцією відбулися зіткнення на території зугдідської в'язниці. У результаті цього обидві сторони втратили декілька бійців. Пізно вночі з боку Самурзакано в Зугдіді ввійшли свіжі сили комуністів, які очолили секретар окружного комітету Галі Ніколоз Акіртава та начальник інформаційного пункту Шарія.

Загін Акіртава був укомплектований досвідченими бійцями, які чисельно у два рази перевищували повстанців, тому легко змогли перемогти їх і звільнити зайняті ними будівлі.

Увечері 30 серпня, Естате Латарія з 40 бійцями, які вціліли, прийняв рішення відступати в бік Ахалсенакі. Але біля села Цаіші відбулася битва з загоном комуністів, проживаючими в селі Джогеджіані, якими керував Александре Толорая. Загін Латарая у цій битві зазнав повного краху. Декілька повстанців та Естате Латарія були заарештовані.

У районі Хобі повстання очолював соціал-федераліст Бесаріон Джорджікія. Повстанці захопили Хобі без супротиву, тільки в декількох селах відбулися сутички. 31 серпня повстанці від представника таємної служби дізнались, що з Поті в Хобі наближається морська сотня під керівництвом Шалви Цкітішвілі. Повстанці спочатку вирішили посилити кордон, але при першій сутичці розсипались.

29 серпня на світанку повстання почалось і в Чхороцку. Головний загін очолили Спірідон Шенгелія та Кандія Хубулава. Повстанці змогли зберегти свою перевагу до вечора 30 серпня, але все ж не змогли осилити атаки міліції, розсипались, і, проходячи Цаленджіху, сховались у Сванетії. Повстання було придушене і у Цаленджисі.

Масштабним був опір у Сенакському окрузі. 28 серпня на організованому об'єднаному засіданні сенакського окружного воєнного штабу та паритетного комітету опрацьовували конкретний план взяття Сенакського району. Загін чисельністю 200 чоловік був розділений на дві групи: першу очолив Давід Мхеїдзе, другу - Аквсентій Шаламберідзе.

До початку операції у повстанців були визначені конкретні цілі – вони повинні були роззброїти міську

ხობის რაიონში აჯანყებას სოციალ–ფედერალისტი ბესარიონ ჯორჯიკია ხელმძღვანელობდა. აჯანყებულებმა წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს ხობი, სამხედრო შეტაკება მხოლოდ რამდენიმე სოფელში მოხდა. 31 აგვისტოს აჯანყებულებმა მშვერავისაგან გაიგეს, რომ ფოთიდან ხობს მემღვაურთა ასეული უახლოვდებოდა შალვა ცქიტიშვილის მეთაურობით. აჯანყებულებმა ჯერ საზღვრის გამაგრების გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ პირველივე შეტაკებისთანავე გაიფანტნენ.

აჯანყება ჩხოროწყუშიც 29 აგვისტოს გამთენიისას დაიწყო. მთავარ რაზმს სპირიდონ შენგელია და კანდია ხუბულავა ხელმძღვანელობდნენ. აჯანყებულებმა ძალაუფლების შენარჩუნება 30 აგვისტოს საღამომდე მოახერხეს და საბოლოოდ, ვერ გაუძლეს რა მილიციელთა შემოტევას, გაიფანტნენ და წალენჯიხის გავლით სვანეთს შეაფარეს თავი. აჯანყება დამარცხდა წალენჯიხაშიც.

აჯანყება მასშტაბური იყო სენაკის მაზრაში. 28 აგვისტოს გამართულ სენაკის მაზრის სამხედრო შეტაბისა და პარიტეტული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე შემუშავდა სენაკის რაიონის აღების კონკრეტული გეგმა. აქ მოქმედი 200—კაციანი რაზმი გაიყო ორ ჯგუფად: პირველი რაზმის მეთაურად დაინიშნა დავით მხეიძე, ხოლო მეორისა — აქესენტი შალამბერიძე.

აჯანყებულებს გამოსვლის საწყისი ეტაპისათვის გარკვეული მიზნებიც ჰქონდათ დასახული — მათ უნდა განეიარაღებინათ ქალაქში მყოფი მილიციელები და ხელთ ეგდოთ მაზრის პარტკომის შენობაში არსებული იარაღისა და ტყვია—წამლის მარაგი. ასევე უნდა დაეპატიმრებინათ კომუნისტები — ბესარიონ მელიქიძე და სამსონ მამულია, რადგანც ფიქრობდნენ, რომ ისინი კრიტიკულ მომენტში შეძლებდნენ ძალების მობილიზებას და ძლიერი წინააღმდეგობის გაწევას აჯანყებულთათვის.

სენაკის მაზრის აღების შემდგომ აჯანყებულებს სურდათ ზუგდიდისა და სამურზაყანოს გაერთიანებულ ძალებთან ერთად ფოთზე იეროშის მიტანა. მერე კი სამეგრელოს აჯანყებულები სვანეთიდან ჩამოსულ რაზმებს უნდა შეერთებოდნენ და ბრძოლა წამოეწყოთ სოხუმის ოლქის გასათავისუფლებლად.

სენაკის მაზრის საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ გრიშა მალანიამ, მას მერე რაც მიიღო დამოფრული დებუშა აჯანყების დაწყების ზუსტი თარიღის შესახებ, სამხედრო კომისრის ბაგრატ აფაქიძის დახმარებით შეკრიბა სენაკის მაზრის ყველა რაიონის ხელმძღვანელი, გააცნო შექმნილი მდგომარეობა და ჩუტარა ინსტრუქტაჟი საბრძოლო მოქმედებაზე, დაუსახა ამოცანები, თუ როგორ გაემაგრებინათ რაიონის ცენტრები.

ღამის სამი საათისთვის დავით მხეიძემ რაზმები საბრძოლო მოქმედებაში მოიყვანა. რამდენიმეწუთიანი შეტაკების შემდეგ აჯანყებულებმა დაიკავეს აღმასკომის შენობა, რა დროსაც მსუბუქად დაიჭრა ორი მეგრძოლი. აჯანყებულებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეძლეს პარტკომის, „სტანციის“ და ფოსტის შენობების დაკავება. დააპატიმრეს ციხის უფროსი და პატიმრები გაათავისუფლეს. პარიტეტულმა კომიტეტმა კი ციხის ახალ უფროსად გრიშა მატახერია დანიშნა.

აჯანყებულები პარალელურად მოსახლეობაში ავრცელებდნენ პროკლამაციებსაც, რომელშიც შეახსენებდნენ მათ, თუ როგორ მოახდინა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ანექსია და მოუწოდებდნენ აჯანყებაში მონაწილეობისაკენ. ამ მოწოდებებს მოსახლეობის ნაწილი გამოეხმაურა. ისინი სხვადასხვა სახით უწევდნენ აჯანყებულებს დახმარებას, ძირითადად კი სურსათ—



სარდიონ გრიგოლია და მისი ცოლ–შვილი. აჯანყების მონაწილე. დახვრიტეს 1924 წელს

მილიციუ i захопити зброю та боеприпаси, що зберігалися у будівлі окружного парткому. Також, повинні були заарештувати комуністів Бесаріона Мелікідзе та Самсона Мамулія, так як думали, що вони могли в критичний момент мобілізувати сили та влаштувати сильний супротив повстанцям.

Після взяття Сенакського округу повстанці об'єднаними силами в Зугдіді та Самузакано хотіли атакувати Поті. Потім мегрельські повстанці планували об'єднатися з загонами, що спустилися зі Сванетії, та почати бій за звільнення Сохумського округу.

Після того як голова сенакської окружної надзвичайної комісії Гріша Маланія отримав шифровану депешу про точну дату початку повстання, за допомогою воєнного комісара Баграта Апакідзе зміг зібрати всіх керівників районів сенакського округу та ознайомив з існуючою ситуацією, провів інструктаж щодо проведення бою, поставив задачу як зміцнити як зміцнити районні центри.

О третій годині ночі Давід Мхеїдзе повів загін у бій. Після кількахвилинної сутички повстанці захопили будівлю виконкому, підчас чого були тяжко поранені два бійці. Без будь-якого супротиву взяли приміщення парткому, станції та пошти. Був заарештований начальник в'язниці, а в'язні звільнені. Новим начальником в'язниці паритетний комітет призначив Грішу Матахерія.

სანოვაციით. ასევე ავრცელებდნენ ინფორმაციას — თითქოს აჯანყდა მთელი კავკასია, რომ დასავლეთი ევროპა მზად იყო დახმარება აღმოეჩინა აჯანყებულთათვის.

29 აგვისტოს ღამით შეიკრიბა პარიტეტული კომიტეტი, რომელმაც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაასკვნა, რომ სამეგრელოს სხვა რეგიონებში სიტუაცია არც თუ ისე სახარბიელო იყო. საშიშროება მოდიოდა იმერეთიდან და გურიიდანაც, რადგან ამ კუთხეებიდან წამოსულ ჯავშანტრასპორტიორებს შეეძლოთ სამეგრელოს აჯანყების სისხლში ჩახშობა, თუმცა დავით მხეიძის რაზმმა წარმატებით მოიგერია ამ ძალების პირველი შემოტევა, რამაც, თავისთავად ცხადია, აჯანყებულები გაამხნევა.

29—31 აგვისტოსა და 1—ლი სექტემბრის საღამომდე აჯანყებულები სრულად აკონტროლებდნენ სენაკს. თუმცა 2 სექტემბერს, გამთენიისას, კომუნისტების ახალი ძალების შემოსვლის პარალელურად სენაკში განახლდა სროლები. აჯანყებულთა მხარეს დანაკარგი მნიშვნელოვანი იყო. შეტაკებისას დაიღუპა 49 აჯანყებული.

კომუნისტების მხრიდან დანაკარგი უმნიშვნელო იყო, რაც განპირობებული იყო პირველ რიგში იმით, რომ აჯანყებულებს არ გააჩნდათ სათანადო საბრძოლო საშუალებები. ამავე დროს ისინი გადამწყვეტ ბრძოლას გაუბრძოდნენ, რათა დაეცვათ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რაზმები სრული განადგურებასაგან.

აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს შტურმს და დატოვეს ქალაქი იმ იმედით, რომ მოგვიანებით კვლავ განეხორციელებინათ მასზე იერიში.

ახალსენაკიდან უკანდახეულმა აჯანყებულებმა მიზნად დაისახეს, სვანეთისათვის შეეფარებინათ თავი. სოფელ ჭუბერში მათ დახვდათ სვანების 60—კაციანი რაზმი არდევან ჭკადუსა და დავით ნიუარაძის ხელმძღვანელობით. მათ თავიდან გამოთქვეს ამბოხებაში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ მას მერე, რაც შეიტყვეს, რომ აჯანყება ფაქტობრივად დამარცხებული იყო, უარი განაცხადეს ბრძოლაზე. უფრო მეტიც, გაძარცვეს აჯანყებულები. ამის შემდეგ აჯანყებულთა რაზმმა ცხოვარის ტყეს შეაფარა თავი და საბოლოოდ დაიშალა.

ამრიგად, აჯანყებულებმა სამეგრელოში მხოლოდ 3 დღით შეძლეს ძალაუფლების ხელში აღება და ვერ გაუძლეს რა კომუნისტების შემოტევას, საბოლოოდ დამარცხდნენ.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები აქტიურად განაგრძობდნენ აჯანყებაში მონაწილე პირთა ვინაობის დადგენას, დაპატიმრებასა და გადასახლება-დახვრეტას. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივში დაცული მონაცემებით 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის სასამართლო განაჩენით დახვრიტეს ასეულობით ადამიანი, მათ შორის ზუგდიდში — 40, ფოთში — 8, ჩხოროწყუში — 17, სენაკის მაზრაში — 122. ათეულობით მეზობლი დაიღუპა უშუალოდ აჯანყების მიმდინარეობისას.

დახვრეტებს ახორცილებდნენ ე. წ. „სამეულები“ და „ხუთეულები“. გადაწყვეტლები დახვრეტების შესახებ პარტიული და საბჭოთა მუშაკების თანდასწრებით გამოჰქონდათ სპეციალურ სხდომებზე. მაგალითად, 1924 წლის 6 სექტემბერს ზუგდიდში გაიმართა ხუთეულის (ტ. ლავგილავა, ჯ. ჩიჩუა, მ. შელია, ზ. ზაქარაია, ვ. ბასილაია) სხდომა, რომელმაც მოისმინა „ზუგდიდში შეიარაღებულ ბანდიტურ გამოსვლაში აქტიურად მონაწილე კონტრრევოლუციონერთა საქმე“ და მიიღო გადაწყვეტილება 40

Паралельно повстанці розповсюджували серед населення прокламації, в яких нагадували, як Росія анексувала Грузію та закликали до участі в опорі. Частина населення різними способами допомагала повстанцям, в основному провізією. Також, розповсюджували інформацію, нібито повстав увесь Кавказ, що Західна Європа готова надати допомогу повстанцям.

Уночі 29 серпня відбулися збори паритетного комітету, який на основі отриманої інформації повідомив, що в інших регіонах Мегрелії ситуація не така сприятлива. Небезпека очікувалась з Імеретії та Гурії, так як звіди виїхала бронетехніка, яка могла придушити повстання в Мегрелії, але загін Давіда Мхеїдзе успішно переміг ці сили при першій сутичці, що, само собою зрозуміло, підбадьорило повстанців.

29—31 серпня і до вечора 1 вересня повстанці повністю контролювали Сенакі. Але вже 2 вересня з оновленням сил комуністи паралельно відновили стрілянину. З боку повстанців були значні втрати - при сутичках загинуло 49 чоловік.

Комуністи зазнали незначних втрат, що в першу чергу зумовлено було відсутністю у повстанців сучасних засобів ведення бою. Водночас вони уникали вирішального бою, щоб зберегти від повного знищення загонів, що були в процесі формування.

Повстанці не осилили штурм і залишили місто з надією обновити атаки пізніше.

Із Ахалсенакі розгромлені повстанці вирушили до Сванетії, щоб там сховатись. У селі Чубері вони зустріли загін із 60 чоловік, очолюваний Ардеваном Чкадуа та Давідом Ніжарадзе. Вони з самого початку висловили бажання взяти участь у бунті, але після того як дізналися, що повстання фактично було придушене, відмовилися від боротьби. До того ж, обікрали повстанців. Після цього останні сховались у Цхомарському лісі і остаточно розійшлися.

Таким чином, у Мегрелії повстанці змогли втримати владу тільки три дні, і при сутичках комуністи таки перемогли.

Після придушення повстання радянські силові структури активно переслідували учасників опору, котрих потім арештовували, відправляли у заслання і страчували. Згідно даних, що збереглися в архіви Державного Міністерства Безпеки Грузії у 1924 році за участь у повстанні за вироком суду страчували сотні людей, серед них у Зугдіді – 40, у Поті – 8, у Чхороцку – 17, у Сенакському окрузі – 122. Десятки повстанців загинуло безпосередньо підчас сутичок.

Страти виконували так звані «трійки» та «п'ятірки». Рішення про страти приймалися на спеціальних зборах у присутності партійних та радянських працівників. Наприклад, 6 вересня 1924 року в Зугдіді зібралась «п'ятірка» (Т. Лагвілава, Д. Чічуа, М. Шелія, З. Закарая, В. Басілая), яка вислухала «Справу про активну участь



კონდრატე შამათავა. აჯანყების მონაწილე. დახვრიტეს 1924 წლის 3 სექტემბერს

კაცის დახვრეტის შესახებ.

აჯანყების აქტიური წევრების ძებნა—დაპატიმრებები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როდესაც ძებნილები „ნებაყოფლობით“ ბარდებოდნენ, რადგან ვერ უძლებდნენ იმ ზეწოლას, რომელიც მათი ოჯახის წევრებზე ხორციელდებოდა.

სამეგრელოში აჯანყების შემდგომ ოფიციალური მონაცემებით 124 კაცი დააპატიმრეს. ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ დაკავებულთა უმრავლესობა 1924 წლის ნოემბრიდან 1925 წლის თებერვლამდე გაათავისუფლეს, თუმცა მცირე ნაწილი კვლავ რჩებოდა საპატიმროებში.

დახვრეტებისა და დაპატიმრებების პარალელურად მაზრებში მოქმედმა „საკონფისკაციო კომისიებმა“ ათეულობით მოქალაქეს ჩამოართვა პირად საკუთრებაში არსებული უძრავ—მოძრავი ქონება.

ამრიგად, 1924 წლის აჯანყება სამეგრელოში დამარცხდა. აჯანყების დამარცხებას, ბუნებრივია, ჰქონდა თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, რომელთაგან, უმთავრესი იყო ის, რომ მიუხედავად იმედისა, აჯანყებას არ ჰქონია მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე. დასავლეთმა, პირველ რიგში ანტანტის ქვეყნებმა, ბედის ანაბარა მიატოვა საქართველო; კომუნისტები ფლობდნენ დეტალურ ინფორმაციას აჯანყებულთა გეგმების შესახებ და ბევრად აღემატებოდნენ როგორც რაოდენობრივი, ისე ორგანიზაციული და შეიარაღების თვალსაზრისით. ეს იყო ქართველთა ბოლო მცდელობა შეიარაღებული აჯანყების გზით დამოუკიდებლობის აღდგენისა.

არჩილ თოდუა

контрреволюціонерів у збройній бандитській акції в Зугдіді» та прийняла рішення про страту 40 чоловік.

Розшуки та арешти активних учасників повстання тривали досить довго. Траплялись випадки, коли ті, кого розшукували, здавались «за власним бажанням», так як не могли витримати насилля, яке направлене було на членів їх сімей.

За офіційними документами після повстання у Мегрелії було заарештовано 124 людини. Після тривалих допитів з листопада 1924 року по листопад 1925 більшість арештованих була відпущена, але невелика частина ще залишалась в ув’язненні.

Паралельно з розстрілами та арештами в загонах діяла «Конфіскаційна комісія», котра позбавила десятків громадян приватного рухомого та нерухомого майна.

Отже, 1924 року повстання в Мегрелії зазнало поразки. Звичайно, це мало свої об’єктивні чи суб’єктивні причини, серед яких найголовнішим було те, що незважаючи на надії, повстання не отримало підтримки на міжнародному рівні. Захід, у першу чергу країни Антанти кинули Грузію напризволяще; комуністи володіли повною інформацією про плани повстання та набагато його перевершували як чисельно та організаційно, так і на рівні озброєння. Це була остання спроба грузин шляхом збройного повстання встановити незалежність.

Арчіл Тодуа



ПОГИБШЕ ВО ВРЕМЯ АКЦИЙ ПРОТЕСТА В УКРАИНЕ



ПОГИБШЕ ПРЕДСТАВИТЕЛИ СЛОВОХ СТРУКТУР



Редакція журналу висловлює співчуття сім'ям та рідним загиблих під час мирних протестів в Києві та інших трагічних подій в містах України.

Слава Україні!



„... კვალი განათებული“

(ძვირფასი ავტოგრაფები)

«Світлий слід» (Дорогі автографи)



მიკოლა ბაჟანს ქართულ—უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში გამორჩეულად საპატიო ადგილი უკავია. სუმრობა—საქმე ხომ არაა — თითქმის ორმოცდათმილიონიანი უკრაინელი ერის სულიერ საგანძურს, ქართველთა ბიბლია—წიგნი — „ვეფხისტყაოსანი“ შეჰმატო! განა მარტო „ვეფხისტყაოსანი“! განა მარტო რუსთაველი. გურამიშვილის „დავითიანი“! ქართული ფოლკლორის, ბესიკის, ტატოს, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშები — „შემომეყარა ყივჩაღი“, „ტანო ტატანო“, „სევდის ბაღს შეველ“, „დედოფალს ანაზედ“, „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ბაბალეთის ტბა“, „სულიკო“, „ჭადარა“, „იმერული იავნანა“, „არწივი“, „ჩივილი ხმლისა“, „ღამე მთაში“ და სხვანი და სხვანი – ყოველი ჩვენთაგანის გულში რომ ჟღერენ! თანამედროვე ქართველი პოეტები — ტიციანი და პაოლო, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე... ქართველი ხალხის პოეზიის ანთოლოგიის ორტომეულის უკრაინულ ენაზე გამოცემის ინიციატორიც და სულისჩამდგმელიც სწორედ მიკოლა ბაჟანი გახლდათ!

სიყვარული საქართველოსადმი, ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი, პოეტს ჯერ კიდევ ადრეულ ახალგაზრდობაში ჩასახვია თავისი ქართველი ნაცნობების გავლენით. 1930 წელს ბედმა კონსტანტინე გამსახურდიას შეახვედრა. ქართველი მწერალი იმხანად უკრაინაში მოგზაურობდა, ეცნობოდა მის ისტორიასა და კულტურას, ცხადია, ჰქონდა შეხვედრები უკრაინელ მწერლებთან, მათ შორის იყო მიკოლა ბაჟანიც. სწორედ ამ მოგზაურობის შედეგად დაიწერა, მრავალი თვალსაზრისით საინტერესო ნარკვევი — „უკრაინის თემიდა“, რომელშიც ასე აღწერს უკრაინელ მწერლებთან შეხვედრის სურათს:

„ვეცნობით ერთიმეორეს.

მაგარი, ბევითი ხელის ჩამორთმევა. უცხო სახეები მიცქერიან ამ პენსნეებიდან, შეკავებული გრძნობიერება, მაგრამ სითბო და

მიკოლა ბაჟან ვ ისტორი უკრაინსკო-გუზინსკიხ ლიტერატურნიხ ვზაემოვიდნოსინაх ჯაჲმაჲ, დიჲსნო, პო-ოსობლივოჲუ პოჩესნო მისცე. ჰიბა ცე ჯარტ – დუჲვნუ სკარბნიცუ მაჲჲე პ'თდესათიმილჲონოი უკრაინსკოი ნაციი ჯზაგათიტი სპრავჲნოჲო ბიბლიუ გუზინივ – «Витязем в тигровой шкурі» Шота Руставели! I ჰიბა თილკი ნიმ, ჰიბა თილკი რუსთაველი, ა ჲ «Давітіані» Давіда Гурамішвілі! I Блискучіми творами гузінського фольклору, Бесікі, Тато, Ілія, Акакій, Важа - «Я зустрівся з кипчаком», «О прекраснотанна», «Я ввійшов у сад печалі», «Про царівну Анну», «Мерані», «Думи на березі Кури», «Присмерк на Мтацмінді», «Могила царя Іраклія», «Базалетське озеро», «Суліко», «Сивизна», «Імеретинська коліскова», «Орел», «Скарга меча», «Ніч у горах» і т.д. і т.д. — კოტრі ჯვუჩაჲ у серці коჲного з нас. Поети сучасної Грузії: Тіціан та Паоло, Гіоргі Леонідзе, Сімон Чіковані, Іраклі Абашідзе... Якраз Микола Бажан являвся ініціатором та втілювачем у життѳ видання двотомної антології - поезії гузінського народу -



უკრაїнською мовою.

Любов до Грузії, гузінської культури й літератури зародилась у поета ще за раннього юнацтва, завдяки знайомому грузину свого батька. У 1930 році доля звела його з Константине Гамсахурдія. Письменник в той час подорожував по Україні, знайомився з її культурою та історією, зустрічався він і з українськими письменниками, у тому числі й з Миколою Бажаном. Якраз внаслідок цієї подорожі було написано, з багатьох точок зору цікаве есе - «Українська Феміда», в якій автор так змальовує картину зустрічі з українськими письменниками:

«Починаємо знайомитися.

Міцні, енергійні рукоштовкання. За стриманими вітаннями вчуваються доброзичливість і шире тепло.

Обличчя всі незнайомі, навіть деякі імена чую вперше, та здається, що всі тут мої давні друзі-приятелі, з якими бачуся



სინაზე თავს იმაღავს.

ზოგიერთი მათგანის სახელი განავონი მაქვს. სახე არც ერთისა არ მინახავს, მაგრამ ასე მგონია, ყველა ესენი ჩემი ძველი ამხანაგებია, ძველი მეგობრები, კვლავ მოპოვებული და კვლავ მონახვეჭი.“

აი, როგორ წარუდგინა ამავე ნარკვევში ავტორმა ქართველ მკითხველს მიკოლა ბაჟანი:

„მიკოლა ბაჟან, თანამედროვე უკრაინის უდიდესი პოეტთაგანი, ლერწამისებრი ჭაბუკი, ნეოკლასიკოსი და ფორმის ვირტუოზი. გარეგნულად ძლიერ წააგავს ალფრედ და მიუსესეს პარიზულ ქანდაკებას.“

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას მიკოლა ბაჟანმა წლები შეაღია და ეს ბუნებრივია. თვეების განმავლობაში ცხოვრობდა იგი საქართველოში და კონსულტაციები არ მოჰკლებია სახელოვან მეცნიერ—რუსთველოლოგთაგან, ისინი ფასდაუდებელ სამსახურს უწევდნენ მთარგმნელს და აახლოებდნენ რუსთაველის ეპოქას, მის მსოფლმხედველობას, უმდიდრეს პოეტურ სამყაროს, რელიგიურ—ფილოსოფიურ,



მხატვრულ, მეტაფორულ აზროვნებას, პოემის ფაბულასა და სიუჟეტს, მის ალევგორიულობას, მეტყველებას და, ბოლოს და ბოლოს, უადვილებდნენ ტექსტის, ყოველი სტროფისა თუ ტაეპის აღქმა—გაგებას, რაც აგრერიგად საგულისხმოა და მნიშვნელოვანი მთარგმნელისათვის და, გარკვეულწილად, თარგმანის მხატვრული ღირებულების, მხატვრული ღირსების განმსაზღვრელიც კი.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობისას მიკოლა ბაჟანმა ბევრი გამოჩენილი ქართველი მწერალი, მხატვარი თუ მეცნიერი გაიცნო, რომლებთანაც შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, მჭიდრო

ზნოვუ პისლა როზლუკი».

Ось, як познайомив Константине Гамсахурдія Миколу Бажана гузінському читачеві в цьому нарисі-есе:

«Микола Бажан, стрункий, як тополина, юнак, один із найбільших поетів України, неокласик, віртуоз форми, своєю зовнішністю нагадує мені пам'ятник Альфреду Мюссе в Парижі...» (Переклад І. та Р. Чілачави)

Микола Бажан присвятив декілька років перекладу «Витязя в тигровій шкурі», і це, зрозуміло, природно. Протягом місяців він жив у Грузії й йому не бракувало консультацій з боку видатних науковців-руствелогів, вони надавали неоціненну допомогу перекладачеві й наближали його до епохи Руставелі, його світогляду, надзвичайно багатого поетичного світу, релігійно-філософського, художнього, метафоричного мислення, фабули та сюжету поеми, його алегоричності, словесності, та врешті решт, полегшували розуміння тої чи іншої строфи або рядка, що є значущим і важливим для перекладача і, в деякій мірі, є визначальним художньої цінності і мірилом художньої гідності перекладу.

Микола Бажан при роботі із «Витязем в тигровій шкурі» познайомився із багатьма відомими гузінськими письменниками, художниками і науковцями, з якими потім, до кінця свого життя, його зв'язувала міцна й сердечна дружба. Своєрідним доказом цьому являться гузінська частина у власній бібліотеці поета, де у великій кількості представлені присвячені книги з автографами гузінських письменників і не тільки письменників... Ознайомившись з нею самі переконаєтесь, як вони поважно і з любов'ю відносились до Миколи Бажана та яку високу оцінку давали його внеску в справу популяризації гузінської писемності та високомайстерної перекладацької діяльності.

Ось і вони:

«Миколе Бажану - преклоняясь перед его великим литературным подвигом, посвященным святой и вечной дружбе Украинского и Грузинского Народов»
Павле Ингороква
9.X.1964г. Тбилиси»

«Дорогие Нина Александровна (Владимировна –С.Ч.), Микола Платонович!
Никогда не перестану восхищаться Вами! Желаю доброго здоровья и большого счастья
в новом, 1979 году!

Всегда Ваш, Г.Асатиани

1/І 79»

«Дорогому Миколе - поэту и гражданину, которого так любил и ценил мой Тициан
С любовью Нина Табидзе
25.X.1957 Тбилиси
С операционного стола - буквально»

და გულითადი მეგობრობა აკავშირებდა. ამის დასტურია პოეტის პირადი ბიბლიოთეკის ქართული ნაწილიც, სადაც უხვადაა წარმოდგენილი ქართველი მწერლებისა და არა მარტო მწერლების მიერ მოძღვნილი, ავტოგრაფიანი წიგნები... გაეცანით მათ და თავად დარწმუნდით, თუ როგორ პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ ისინი მიკოლა ბაჟანისადმი და რა მაღალ შეფასებას აძლევენ მის ღვაწლს ქართული მწერლობის, პოეზიის, საზოგადოდ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

აი, ისინიც: «მიკოლა ბაჟანს, მუხლმოყრით წინაშე მისი უდიდესი ლიტერატურული გმირობისა, მიძღვნილს უკრაინელ და ქართველ ხალხთა წმიდა და სამარადისო მეგობრობისადმი პავლე ინგოროყვა 9.X.1964 ქ. თბილისი» „ძვირფასო ნინა ალექსანდრეს (ვლადიმირის – ს.ჩ.) ასულო, მიკოლა პლატონის ძე! ჩემ აღტაცებას თქვენდამი დასასრული არ გააჩნია! გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას ახალ, 1979 წელს! „</td
მარად თქვენი გ.ასათიანი 1/ I 79“
„ძვირფას მიკოლას — პოეტსა და მოქალაქეს, ვინც აგრერიგად უყვარდა და ვისაც აგრერიგად აფასებდა ჩემი ტიციანი სიყვარულით ნინა ტაბიძე 25. X . 1957 თბილისი
გწერთ საოპერაციო მაგიდიდან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“
„ჩვენი თანამედროვეობის უდიდეს პოეტს, ჩვენს მეგობარს, ჩვენი და საქართველოს უსაზღვროდ მოყვარულს — მიკოლა ბაჟანს.
გულითადად გკოცნით და გეხვევით თქვენი ლადო გუდიაშვილი 7—VI–1980 თბილისი“
„დიდად პატივცემულ მიკოლა პლატონის ძე ბაჟანს, ვისი სიყვარული ვაჟა ფშაველასადმი, ვისი უნარიც, ქართული ლიტერატურის ამ გენიოსის შემოქმედების საიდუმლოებებში წვდომისა, თვალსაჩინო მაგალითი იყო ამ წიგნის ავტორისათვის ი.ბოგომოლოვი 6. V .81 თბილისი“
„მიკოლა პლატონის ძე ბაჟანს — უდიდესი სიყვარულითა და მაღლიერების გრძნობით იმ სითბოსა და სინათლისათვის, თქვენ რომ ჰფენთ ჩემს სამშობლოს, აკაკის, სიმონსა და მარიკას, ყველა ჩვენთაგანს.
გიორგი მარგველაშვილი 9/ X –64 წ. თბილისი“
„ძვირფას მიკოლა პლატონის ძეს — უღრმესი პატივისცემით! ოთარ ჭილაძე 1981“
„ძვირფას მეგობრებს — ნინას და მიკოლას, სიყვარულით სიმონი 1958 VIII — 28“
„ჩემს ძვირფას მეგობრებს — ნინას და მიკოლას, გულითადი სალამით სიმონ ჩიქოვანი 1961 VII 12“
„მიკოლა პლატონის ძე ბაჟანს — ნიშნად გულითადი სიყვარულისა და გულწრფელი მეგობრობისა ა.ბარამიძე თბილისი — კიკეთი 2. VIII. 50“
„ძვირფას და საყვარელ ამხანავს, მეგობარს, ძმას — მიკოლა ბაჟანს — ა.ბარამიძე 25. IX. 52“
„ძვირფას მეგობრებს ნინა ვლადიმერის ასულს, მიკოლა

«Величайшему поэту нашей современности, нашему другу, безгранично любящего нас и Грузию - Миколе Бажану. Целую, обнимаю сердечно	
Ваш Ладо Гудиашвили	
7-VI-1980 Тбилиси»	
«Глубокоуважаемому Миколе Платоновичу Бажану, чия влюбленность в Важе Пшавелу, чье проникновение в тайники творчества гения грузинской литературы были прекрасным примером для автора этой книги	
И. Богомолов	
6.V. 81 Тбилиси»	
«Миколе Платоновичу Бажану, с великой любовью и благодарностью за тепло и свет, излучаемый Вами на мою Родину, на Акакия, Симона и Марику - всех нас , Георгий Маргвелашвили	
9/X – 64 г.Тбилиси»	
«Дорогому Миколе Платоновичу – с глубоким уважением!	
Отар Чиладзе	
1981»	
«Дорогим друзьям - Нине и Миколе с любовью Симон	
1958 VIII -28»	
«Моим дорогим друзьям - Нине и Миколе сердечным приветом	
Симон Чиковани	
1961 VII 12»	
«Миколе Платоновичу Бажану в знак сердечной любви и искренной дружбы	
А. Барамидзе	
Тбилиси-Кикети 2.VIII.50»	
«Дорогому и любимому товарищу, другу и брату Миколе Бажану -	
А.Барамидзе	
25. IX. 52»	
«Дорогим друзьям — Нине Владимировне, Миколе Платоновичу -	
в знак искренней любви, глубокого уважения	
Гр. Абашидзе	
17.3.77»	
«Глубокоуважаемым НинеВладимировне, Миколе Платоновичу –	
друзьям, которых всегда помним с благодарностью, любовью	
Гр. Абашидзе»	
«Дорогие, безгранично любимые Нина и Микола поздравляю Вас с новым годом! Обнимаю Вас, целую, мечтаю видеть Вас в Тбилиси	

პლატონის ძეს — ნიშნად გულწრფელი სიყვარულისა, უღრმესი პატივისცემისა —	
გრ. აბაშიძე 17.3.77“	
„ღრმად პატივცემულ ნინა ვლადიმერის ასულს, მიკოლა პლატონის ძეს — მეგობრებს, რომლებსაც მუდამ ვიგონებთ მაღლიერების გრძნობით, სიყვარულით —	
გრ.აბაშიძე“	
„ძვირფასო, უსაზღვროდ საყვარელო ნინა და მიკოლა — გილოცავთ ახალ წელს. გეხვევით, გკოცნით, ვოცნებობ, გიხილთ თბილისში —	
მარად თქვენი	
ირაკლი აბაშიძე 1979 26/XII თბილისი“	

„გულითადი სალამი ნიშნად მტკიცე სიყვარულისა და მეგობრობისა ძვირფას მიკოლა ბაჟანს	
გ.ლენიძე 19, I — 58“	
„ნიკოლოზ პლატონის ძე ბაჟანს — პოეტს, მეგობარს ავტორისაგან —	
სოსო გრიშაშვილი 1951 1/VII თბილისი“	
„ძვირფას მიკოლა პლატონის ძეს, ყველაზე ახლობელ ადამიანსა და პოეტს ჩემი ქვეყნისათვის ჭეშმარიტად საყვარელ ადამიანს —	
სერგო კლდიაშვილი 14. X. 56“	
„ღრმად პატივცემულ მიკოლა ბაჟანს! ქართველი ხალხის ერთგულ და ნაცად მეგობარს. დიდ პოეტს, რომელსაც დიდად აფასებს ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა თანამედროვე თაობა.	

პატივისცემით	
სარგის ცაიშვილი თბილისი 9/ IX. 80“	
„ძვირფას ღრმად პატივცემულ მიკოლა პლატონის ძე ბაჟანს, ვისი მაღალოსტატური მთარგმნელობითი ხელოვნება კლასიკური მაგალითია ყოველი შემოქმედისთვის, ვინც ისწრაფვის თავისი მოკიძალებული წვლილი შეიტანოს ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრების დიდ საქმეში. გალაკტიონის პოეზია — ქართული და მთელი საბჭოთა პოეზიის ერთ–ერთი უბრწყინვალესი მწვერვალია. მისი თარგმნა წარმოუდგენლად ძნელია. ვაღიარებ, რომ ხელი მოვკიდე მეტად ძნელ, თითქმის შეუძლებელ საქმეს, მაგრამ გალაკტიონის მომაჯადოებელი ლირიკისა და უკრაინული პოეტური სიტყვის სიყვარულმა მაინც შემათამამა ამ შეუძლებელი საქმისათვის მომეკიდა ხელი. მომიტევეთ, თუკი ყველაფერი ისე ვერ გამოვიდა, როგორც სასურველი იყო. მე ხომ უკრაინულად პირველად მხოლოდ ამ შვიდი—რვა წლის წინათ დავილაპარაკე. თქვენი რაულ ჩილაჩავა 2. VI. 76. კიევი“	
„ჩემს საყვარელ პოეტს და საყვარელ მეგობარს — მიკოლა ბაჟანს — მრავალი წლის განუყრელი ძმობის მოსაგონებლად —	
კარლო კალაძე 8/01 71 თბილისი“	

P.S. გულწრფელ მადლობას მოვასხენებთ მიკოლა ბაჟანის ლიტერატურულ—მემორიალური სახლ—მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ლუდმილა რეზნიკოვას და მუზეუმის თანამშრომლებს, აუცილებელი სამუზეუმო ფონდით რომ თავაზიანად უზრუნველგვყვეს ამ მასალის მომზადებისათვის.	
ფოტოილუსტრაცია ავტორისა	სოსო ჩოჩია

Всегда Ваш	
Ираклий Абашидзе	
1979 26.XII Тбилиси»	
«С сердечным приветом в знак прочной любви и дружбы дорогому	
Миколе Бажану	
Г. Леонидзе	
19, I – 58»	
«Николаю Платоновичу Бажану - поэту, другу от автора –	
Сосо Гришашвили	
1951 1/VII Тбилиси»	
«Дорогому Миколе Платоновичу, самому родному человеку и поэту по настоящему любимому моей страной	
Серго Клдиашвили	
14.X. 56»	
«Многоуважаемому Миколе Бажану! Верному и испытанному другу грузинського народа. Большому поэту, которого неимоверно високо ценит современное поколение грузинських писателей и литераторов.	
С уважением	
Саргис Цаишвили	
Тбилиси 9/IX 80»	

«Дорогому вельмишановному Миколі Платоновичу Бажану, чия високомайстерна перекладацька творчість є класичним взірцем для кожного митця, що прагне внести свій скромний вклад у велику справу взаємозбагачення братніх літератур.	
Глибинна поезія Галактіона – одна з найяскравіших вершин грузинської і всієї радянської поезії. Перекласти її неймовірно важко. Усвідомлюю, що взявся за майже невідсильну справу. Та все ж любов до чаруючої лірики Галактіона і до українського поетичного слова надали мені сміливості зробити неможливе. Даруйте, коли не все так, як було б бажано. Адже українською мовою я вперше заговорив лише сім-вісім років тому.	
Ваш Рауль Чілачава	
2. VI. 76. Київ»	

«Моему любимому поэту и любимому другу Миколе Бажану – на память о нашей многолетней неразлучной дружбе и братстве –	
Карло Каладзе	
8/01. 71 Тбилиси»	
P.S. Висловлюємо щиру вдячність директору літературно-меморіального дому-музею Миколи Бажана пані Людмилі Резніковій та працівникам музею, які надали можливість нам користуватись музейним фондом задля підготовки даного матеріалу.	
Фотіоілюстрація автора	Сосо ЧочіяW

ბეჟინვალი დღესასწაული იმერეთის გულში

ЧУДОВЕ СВЯТО В СЕРЦІ ІМЕРЕТІ



«... Господи, поглянь на смирення мое і дай благодать частинам моего тіла, щоб кожнa людина, хто вірою погляне або доторкнеться, отримав благодать, благословення і прощення гріхів. А якщо хто в стражданнях згадає про мене, спаси від лукавого. Господи, хто пом'яне благо моїх тортур, дай їм благодать, прости їм всякі їхні гріхи і зціли їх від захворювань, бо тільки ти знаєш підступність їх ворогів, яких же розтопчи під ногами, і хто прочитає або почує про мої торттури, очисти його від порочності.»

- Цими словами на передодні страсти Великомученик Святий Георгій Побідоносець заступився за кожного благочестивого.

Святий Георгій народився в Каппадокії в багатій християнській родині землевласників в другій половині III століття. Він став воєначальником під час правління римський імператор Діоклітіана. Від початку гоніння на християн він відвернувся від імператора. Язичницький римський імператор зажадав від Святого Георгія



відмови від Христа. Отримавши відмову від Георгія, він піддав його багаточисельним стражданням. У віці 30 років 303 році Святому відсікли голову. Через духовної стійкості і відданість Церкві він увійшов в історію Церкви як звияжний і непереможний небесний вершник.

Православна Церква Святого Георгія святоково згадує двічі на рік, 6 травня (у день кончини - усікновення голови - Святого) і 23 листопада (в день початку його тортур через колесування). Останнє святкування вважається Грузинським, тому що інші церкви цю традицію перейняли з Грузії.

Чудотворець і Побідоносець, Святий Георгій верхи на білому коні, символ перемоги і справедливості. Він вважається покровителем нації, і саме тому особливо




„... მოხედე, უფალო, ჩემს სიმადალეს და მიეცი მაღლი ჩემი სხეულის ნაწილებს, რომ ყოველმა ვაცმა, რომელიც სარწმუნოებით შეხედავს ან შეეხება, მიიღოს მაღლი, კურთხევა და ცოდვათა შენდობა. ხოლო თუ ვინმე გასაჭირში იყოს და გამიხსენოს მე, ისენი ყოველგვარი განსაცდელისაგან. უფალო ღმერთო, ვინც მოიხსენოს ჩემი წამების ღვაწლი, მიეცი მაღლი, მიუტევე მათ ყოველგვარი შეცოდებანი და განკურნენ მათი სნეულებანი, რადგან მხოლოდ შენ იგი, მათი მატუური მტრის სივერაგე, რომელიც ფეხქვეშ შემუსრე და რომელიც წაიკითხავენ ან მოიხსენენ ჩემს წამებას, განწმიდე ბიწიერებისაგან.“

— სიკვდილით დასჯის წინ ამ სიტყვებით შეავედრა უფალს დიდმოწამე გიორგიმ ყოველი ღვთისმოსავი.

წმინდა გიორგი III საუკუნის მეორე ნახევარში კაბადოკიაში მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს იგი მხედართმთავარი გახდა. ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი მრავალ სატანჯველს გამოატარა. წმინდანს 303 წელს 30 წლის ასაკში თავი მოკვეთეს. იგი სულიერი სიმტკიცისა და თავდადების გამო ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევამოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა გიორგის სხენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს (წმინდანის აღსრულების დღეს) და 23 ნოემბერს (მისი ბორბალზე გაკვრით წამების დღეს), დღესასწაულობს. ამ უკანასკნელ დღესასწაულს ქართული ეწოდება, რადგან სხვა ეკლესიებში ეს ტრადიცია საქართველოდან გადავიდა.

თეთრ ცხენზე ამხედრებული საკვირველმოქმედი და ძლევამოსილი გიორგი, გამარჯვებისა და სამართლიანობის



სიმბოლოდ ითვლება. იგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და ამიტომ მას განსაკუთრებით ეთაყვანებიან.

წმინდა გრიგოლ ფერაძეს ცნობით 1180 წელს, ჟუგ დე ვიტრი, იერუსალიმის ლათინი პატრიარქი წერდა: „აღმოსავლეთში არის ერთი ქრისტიანი ხალხი, დიდი მებრძოლი, ომში მამაცი, ტანად ძალოვანი და ძლევამოსილი. ჰყავს ურიცხვი მეთმარი. ამ ხალხს გეოგრაიანებს უწოდებენ, რადგანაც განსაკუთრებული მოწინებით ეპყრობა და ეთაყვანება წმინდა გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიიჩნია ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და პატივს სცემს ყველა სხვა წმინდანზე მეტად.»

ლევენდის თანახმად, წმინდა გიორგის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა და ქვეყანაზე მიმოაბნია. ყველგან, სადაც მისი ნაწილი მოხვდა, სალოცავები დააწესა. ხალხში გავრცელებული აზრის თანახმად, საქართველოში წმიდა გიორგის სახელზე 365 ტაძარია აშენებული, წელიწადის დღეების შესაბამისად. ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი, ლაშარის ჯვარი, ლომისი - ყველა მათგანი წმიდა გიორგის სალოცავად ითვლება. წმინდა გიორგის სალოცავია იმერეთში, თერჯოლის რაიონის სოფელ გოგწში მდებარე გოგნის კარუგდებელიც.

მთის წვერზე მდგარი მამათა მონასტერი VII-VIII სს. თარიღდება.



მის დაარსებას უკავშირებენ თქმულებას, რომლის მიხედვით ტაძარი დავრდომილ მოხუცს გამოცხადების შემდეგ აუგია. პატარა სამოცეცელო მალე გამხდარა მორწმუნეთა ლოცვისა და ნუგეშის, უფლის შეწევნისა და მადლის გადმოცემის ადგილი. ცნობილია, რომ აქ დაყუდებული, მეუღლანოე ბერთა ცხოვრებაც მიმდინარეობდა.

შემთხვევითი არც ეკლესიის სახელია. როგორც ტაძრის მდავითნე გვიამბობს მშენებლებს არაერთხელ უშედეგოდ უცდათ ეკლესიაზე შესასვლელი კარის დაკიდება, ყოველ ჯერზე კარი ჩამოვარდნილი ხვდებოდათ. „ბოროტი ხუმრობის“ აღკვეთის მიზნით ტაძრისთვის დარაჯიც მიუწენიათ. დარაჯებს თავადვე უხილავთ ნათელი სვეტი, რომლის ძალითაც ჩამოვარდნილა ტაძრის შესასვლელი კარი. ამ დღიდან ტაძარს კარუდებელი ეწოდა... „წმინდა გიორგიმ არ ინება ტაძარს კარი ჰქონოდა“ — ამბობს მდავითნე.

წმინდად მიიჩნეოდა სასწაულომოქმედი ტაძრის ტერიტორიაც, სადაც მონადირე იარაღის გარეშე ადიოდა. ცოდვად ითვლებოდა, მიმდებარედ ნადირის მოკვლაც კი. ასევე სიწმინდის ხელყოფისა, შიშმა შემოურჩინა წმინდა მთას ურთხელის უძველესი ჯიშები.



шанується.

СВ. Григорій Перадзе повідомляє, – в 1180 році, Жак де вітро, Латинський Патріарх Єрусалима, писав: «на сходи є християнський народ, бойовий, сміливий у війні, кріпкою статуєю та могутньою силою. Цей народ має чисельне військо. Ці люди називаються георгіянами, оскільки особливо трепетно і благоговійно поклоняються в Святого Георгія, якого вважають своїм покровителем і прапорonoсцем в боротьбі з невірними і поважають більш ніж всіх інших святих».

Згідно з легендою, після смерті Св. Георгія, Бог розділив його тіло на частини і розкидав по землі. Скрізь, куди його частина потрапила, встановив молитовні. Згідно поширеної думки серед людей, з ім'ям святого Георгія в Грузії побудовано 365 церков, відповідно до днів у році. Хахматський Джварі, Гуданський Джварі, Лашарський Джварі, Ломісі... – всі вони вважаються, Георгієва молельнями.

Є Церква Святого Георгія в Імереті, в Терзольському районі, в селі Гогні – Гогнійський Каругдебели*.

Стоячи на вершині гірській монастир датований VII-VIII ст. Його заснування пов'язане з оповіданням, згідно якого храм побудований хворим старцем після богоявлення йому. Невелика каплиця незабаром стало місцем молитви, розради віруючих і Божої благодаті. Відомо, що тут протікало життя затворницьких, пустинних ченців.

Не випадково назва церкви. Як розповідає псаломщик храму будівельники неодноразово марно намагалися повісити вхідні двері, але кожного разу двері з гуркотом провалювалися. З метою запобігання для «злих жартів» до Храму приставили охоронців. Охоронці самі побачили стовп світла, силою якого були двері скинуті. З цього дня Храм був названий «Каругдебелі»...

Святий Георгій не забавжав, щоб у Храму були двері, - каже місцевий псаломщик.

Вважався священним територія чудотворного храму, куди мисливець без рушниць піднімався. Вважалося гріхом вбивати тварин навіть в безпосередній близькості. Під страхом порушення святості збереглися на святій горі стародавні сорти тису. Ті дерева, що збереглися, донині оточують храм.



გაჩეხვას გადარჩენილი ეს ხეები, დღემდე გარს აკრავს ტაძარს.

1925 წელს კომუნისტების მიერ დაკეტილმა პატარა ეკლესიამ ნგრევის დიდი ქარცეცხლი გამოიარა. 90-იან წლებში კი სოფლის მკვიდრების მიერ უღმერთობის დროს დანგრეული ეკლესიის ხევიში გადაყრილი თითოეული ქვა იქნა ამოტანილი. ამ ქვებითვე იქნა ხორცშესხმული ტაძრის აღდგენის იდეა. განახლებულმა ეკლესიამ გამოაგნებელი ძალით შემოიკრიბა დაფანტული მრევლი...

საოცარი სანაზაოა გოგნი და გოგნის კარუგდებელი ნ მისს. გიორგობას აქ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული მორწმუნე აღნიშნავს. ამინდსა თუ უამინდობაში, უწყვეტად მიუყვება მომლოცველთა ნაკადი ტაძრისკენ მიმავალ გზას, ზოგი შესაწირით, ზოგი ფეხშიშველი, ზოგი ბავშვით ხელში, ყველა ერთად სასწაულის, წმინდა გიორგის მფარველობისა და შეწევის იმედით. გოგნის კარუგდებელი ხომ განსაკუთრებით უშვილოთა და სნეულთა შემწეა. მოძღვრის მამა იოანესა თქმით, დღესასწაულათვის საგანგებოდ ემზადება ეკლესია. ღვთისმსახურება შეუღამისას იწყება. მომლოცველები კი თითქმის მთელი კვირის მანძილზე სტუმრობენ ტაძარს. ზეიმის ელფერი დაჰყვება ყველად და ყველაფერს.

გოგნში გიოგოგობის ადნიშვნის ტრადიციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტაძართან მიმავალი გზის რეაბილიტაციამ. გზაზე, სადაც არა თუ მანქანით, არამედ ფეხითაც ჭირდა გადაადგილება, დაიგო ბეტონის საფარი. ბერებისათვის აშენდა კელოები და...

ყველაზე დიდებული, რაც დღესდღეობით გოგნის კარუგდებლის ირგვლივ ხდება — ეს სასულიერო და საერო პირების ერთიანობით, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მიმდინარე ეკლესიის მშენებლობა...

2011 წლის 6 მაისს გოგონის წმინდა მთაზე ადგილობრივი ხელისუფლების, მაჟორიტარი დეპუტატის, მოვდელმთავართა და უბრალოდ მრევლის შვაობითა და ერთიანი ძალისხმევით ჩაყარა საფუძველი შშნებლობას, მეუფე იაკობის მიერ დაიდო პირველი აგურიც...

„როგორც ნიკოწმინდაა განსაკუთრებული, ასევე გამორჩეული იქნება ეს ტაძარი იმერეთში თავისი დიდებულებითა და უხვი ჩუქურთმებით“ – გვითხრა თერჯოლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ტარიელ ფანჭულიძემ. შექმნილია სპეციალური ფონდი, შემოწირული თანხებით ფინანსდება სამშენებლო სამუშაოები. სავარაუდოდ 2014 წლის შემოდგომაზე ტაძარს გუმბათი დაედგება, ამით დასრულდება ძირითადი ეტაპი. ზაფხულის დასაწყისში კი სამრეკლოს მეშენებლობაცაა

Закрита в 1925 році маленька церква пройшла крізь вогонь зруйнований.

У 90-ті роки сільське населення підняло кожен камінь, кинутий в яр, зруйнованого в годи невіри Храму. Цими ж камінням була втілена ідея відновлення Храму.

Оновлена церква дивної силою зібрала розсіяну парафію церковної громади...

Дивовижно бачити Гогнійський «Каругдебелі» 6 травня.

Гіоргоба тут відзначають віруючі з усіх куточків Грузії.

У погоду чи негоду безперервним потоком йдуть паломники на шляху до храму. Хтось босоного, хтось з дитиною в руках, а всі разом з надією на чудо, на заступництво Св. Георгія, на порятунок. Адже Гогнійський «Каругдебелі» помічник немічних і бездітних. Зі слів наставника отця Іоанна церква особливо готується до свята. Літургія починається опівночі. Паломники відвідують храм протягом майже тижня. Все і вся освячено світлом свята.

Становленню традиції святкування Гюргоба в Гогні сприяло реабілітація дороги, що веде до храму. По дорозі, де не тільки на автомобілі, але і пішки важко було пересуватися, проклали бетонне покриття. Збудували келии для монахів і Саме чудове, що зараз відбувається - навколо Гогнійського «Каругдебелі»



об'єдналися релігійні та світські лідери, патріарх благословив будівництво нової церкви...

6 травня 2011р. на святій горі в Гогні було покладено початок будівництва нової церкви, завдяки єднанню представників місцевої влади, депутатів-мажоритаріїв, священнослужителів та парафіан. Першу цеглину закладв Владика Яків ...

«Як і «Никорцмнда», так і новий храм буде особливою прикрасою Імеретинського краю зі своєю величністю і багатьма орнаментами» - розповів нам голова, пан Таріел Фанчулідзе. Створено спеціальний фонд, за рахунок пожертвувань фінансуються будівельні роботи.

Імовірно восени 2014 р. очікується установка купола, цім буде завершено основний етап.

განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ადგილობრივი, კერძოდ, ჭოგნარის ქვის კარიერზე მოპოვებული საუკეთესო მასალით მოპირკეთდება. მშენებლობაზე და ჩუქურთმის კვეთაზე მომუშავეების უმეტესობა ადგილობრივები არიან. გოგნი ტაძრის შენების დასასრულის მოლოდინშია...

ერთსულოვნება და ერთიანი შემართების განცდა არის ყველა იმ სიძნელისა და პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც ტაძრის მშენებლობას თან ახლავს... ეს ტაძარი კი ძველი ტარდიციის ახალი გამოძახილია, სიმტკიცის მიმცემია იმ რწმენისა, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან... საამაყო არა მარტო იმერეთისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის... ტაძარი, როგორც სიმბოლო განახლებისა...

P.S. სრულიად საქართველოს სახელით ვუთანაგრძობთ უკრაინას განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო. ვუთანაგრძნობთ მაიდანზე, ოდესაში, ხარკოვში, დონეცკში, ლუგანსკში, მარიუპოლში დაღუპულთა ოჯახებს. მათი სულების მოსახსენებელი ლოცვა აღავლინა გოგნის კარუგდებლის მოძღვარმა მამა იოანემ.


ნათია კახიანი

Слід зазначити, що оздоблення церкви буде зроблено з кращого місцевого матеріалу, зокрема, з каменю що витягується з Чогнарського кам'яного кар'єру. На будівництві і різьбі орнаментів працюють переважно місцеві працівники. Гогні в очікуванні завершення будівництва. Єдність і здоровий глузд є джерелом натхнення для подолання всіх тих труднощів і вирішення проблем, якими супроводжується будівництво храму ...

А цей Храм – новий відгук древньої традиції, джерело зміцнення віри на якій росли і будуть рости нові покоління, джерело гордості не лише для Імеретинського краю, а й для всієї країни ... Храм як символ оновлення ...

P.S. Від імені всієї Грузії співчуваємо Україні з приводу розгорнутих в Україні трагічних подій. Співчуваємо сім'ям загиблих на Майдані, в Одесі, Харкові, Донецьку, Луганську ... Настоятель Гогнійського храму «Каругдებელი» Отець Иоанн звершив панахиду за їхні душі.

Натія Кахіані



„...ხატთა მათ, რომელთ ჩვეული რიდით და სასოებით უყრიდით მუხლსა...“

(ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის დელეგაცია უკრაინაში)

ДЕЛЕГАЦІЯ ЗУГДІД-ЦАІШСЬКОЇ ЄПАРХІЇ В УКРАЇНІ



2013 წლის 14–18 ნოემბერს, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს ლოცვა-კურთხევით, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადგომით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დელეგაცია უკრაინაში ჩამოვიდა. დელეგაციას ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სამღვდლოება, ეპარქიის მაღალბეღ ჯაფთა გუნდი და მრევლი წარმოადგენდა. სტუმრებმა მოილოცეს კიევის პეტრესკის ლავრა, წმინდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარი, წმინდა მიხეილის ოქროსგუმბათოვანი ტაძარი, კიევის ყოვლადწმიდა სოფიას უძველესი ტაძარი, წმინდა ანდრეას სახელობის საკათედრო ტაძარი და სხვა სიწმინდეები.

16 ნოემბერს მაღალყოვლადუსამღვდელოეს პოჩაევის მიტროპოლიტ ვლადიმერის (მოროზი) ლოცვა-კურთხევით აღესრულა ლიტურგია პოჩაევის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში. წირვის შემდეგ მიტროპოლიტ ვლადიმერთან მიღება გაიმართა. მიღებაზე სიტყვით გამოსულმა დელეგაციის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ფრიდონ ასათიანმა, მიტროპოლიტს ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს გულითადი მოკითხვა გადასცა და ეპარქიის სახელით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სამოსელის ხატი უსაჩუქრა. პასუხად მეუფე ვლადიმერმა სტუმრებს მადლობა მოახსენა ჩამობრძანებისა და ძვირფასი საჩუქრისათვის. მეუფემ გულთბილად ისაუბრა უკრაინისა და საქართველოს, როგორც საეკლესიო ისევე საერო ძმურ ურთიერთ

У листопаді 2013 року делегація Зугдід-Цаїшської єпархії перебувала в Україні.

Ця подія відбулося за благословенням Митрополита Зугдідського и Цаїшського,

Владики Герасима та за ініціативою та підтримкою адміністрації міста Зугдіді.

До складу делегації входило духовенство єпархії, чоловічий співочий хор та

парафіяни. Гості відвідали Києво-Печерську Лавру, Кафедральний Собор Св.

Володимира, золотoverхий Михайлівський Собор, Собор Св. Софії, Св. Андріївський

Кафедральний Собор та інші святі місця.

16 листопада його преосвященство Почаївський Митрополит Володимир (Мороз)

відслужив літургію в Почаївському монастирі Пресвятої Богородиці. Після служби

відбувся прийом у Митрополита Володимира. На прийомі



промовою виступив

очільник делегації, протоієрей Придон Асатіані, він передав Владиці серцевий

привіт від Митрополита Герасима та ікону Покрова Пресвятої Богородиці у

подарунок. У відповідь Владика Володимир щиро подякував гостям за приїзд та

дорогоцінний дар, він говорив про братерські відношення як

დამოკიდებულობებზე და შეხვედრის დასასრულს, თავისი მხრივ, საჩუქრები უბოძა დელეგაციის წევრებს.

17 ნოემბერს წირვა აღევლინა კიევის წმიდა თამარ მეფის სახელობის ქართული სამრევლოსათვის. წირვის დასრულების შემდეგ საქართველოს საელჩოში სრულიად უკრაინის ქართველთა საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიის“ თაოსნობით, ზუგდიდელი სტუმრების საპატივცემულოდ მიღება გაიმართა. მიღებას სასულიერო პირები, ქალაქ ზუგდიდის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქვარაია, ზუგდიდის განვითარების ფონდის წარმომადგენლები, „ცოტნე დადიანის დარბაზის“ დამფუძნებელი, ანსამბლი „ოდოია“ და სხვა სტუმრები ესწრებოდნენ. მიღების ოფიციალური ნაწილი, უკრაინაში საქართველოს ელჩის მიხეილ უკლებას მისალმებით გაიხსნა.

ელჩმა ისაუბრა ქართულ–უკრაინულ ურთიერთობებზე, მიმოიხილა ქართული სათვისტომოს საქმიანობა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ქართული სათვისტომოს კულტურულ–საგანმანათლებლო თუ საზოგადოებრივი საქმიანობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება. გაერთიანება „გეორგიის“ პრეზიდენტმა ბესიკ შამუგიამ აღნიშნა, რომ ქართული სათვისტომო, უკრაინაში მცხოვრები



ქართველები ძალ–ღონეს არ იშურებენ ქართული კულტურის ღირსეულად წარმოსაჩენად.

შეხვედრაზე „ცოტნე დადიანის დარბაზის“ დამფუძნებელმა კონსტანტინე კაკავამ და სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიის“ პრეზიდენტმა ბესიკ შამუგიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სამღვდელოების წარმომადგენლებმა. მათ დალოცეს უკრაინაში მცხოვრები თანამემამულეები, უშურველად რომ საქმიანობენ, ვინძლო მშობლიურ ფესვებს არ მოწყდნენ ჩვენი პატარები... მგალობელთა გუნდის მიერ შესრულებულ იქნა ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები. მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ სათვისტომოს ქორეოგრაფიული ანსამბლი „იბერიელი“ და უკრაინაში მცხოვრები ცნობილი მომღერალი ლადო დონღვანი.

საელჩოში გამართულ შეხვედრას ესწრებოდა ცნობილი ქართველი პოეტი რაულ ჩილაჩავა, რომელმაც ზუგდიდელ სტუმრებს საკუთარი წიგნები გადასცა.

შეხვედრის დასასრულს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ცოტნე დადიანის დარბაზის“ დამფუძნებელმა ბესიკ შამუგიასა და რაულ ჩილაჩავას ქართული კულტურის პოპულარიზაციის, მისი განვითარებისათვის გაწეული ღვაწლისა და უკრაინაში საქართველოს ღირსეულად წარმონიშნისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

დელეგაცია საქართველოში 18 ნოემბერს დაბრუნდა.



მიж духовними так і

між світськими діями. Наприкінці зустрічі Владика передав, в свою чергу,

подарунки гостям, членам делегації. 17 листопада літургію відслужили у Києво-

Печерській Свято-Успенській Лаврі в храмі всіх преподобних печерських для

парафії громади імені Св. Цариці Тамар. Після служби того дня в Києві, посольстві

Грузії, з ініціативи ВГО «Георгія» на честь Після служби того дня в Києві, посольстві Грузії, з ініціативи ВГО «Георгія» відбувся прийом на честь гостей із Зугдіді.

На прийомі були присутні духовенство, виконуючий обов'язків губернатора М. Кварая, представники Фонду розвитку міста Зугдіді, засновник громадського об'єднання «Цотне Дадіаніс Дарбазі», ансамбль «одоіа» та інші гості.

Офіційна частина прийому відкрилася привітанням Надзвичайного і повноважного Посла Грузії в Україні Міхеїла Уклеба.

На прийомі президент ВГО «Георгія» Б. Шамугія і засновник громадського об'єднання «Цотне Дадіаніс Дарбазі» « Костянтин Какава підписали меморандум про співпрацю.

У зустрічі в посольстві взяв участь відомий грузинський та український поет, перекладач, посол України Рауль Чілачава, який передав свої книги гостям із Зугдіді. Наприкінці зустрічі засновник громадського об'єднання «Цотне Дадіаніс Дарбазі» Б. Шамугія та Р. Чілачава за внесок у популяризацію грузинської культури та передав відповідні нагороди.

Делегация повернулася до Грузії 18 листопада.



ქართული კინოს დღესასწაული კიევში

СВЯТО ГРУЗИНСЬКОГО КІНО В КИЄВІ



ქართული კინოს სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა, მსოფლიო კინემატოგრაფის გამოცდილებასა და ეროვნული ხელოვნების ტრადიციებზე დაყრდნობით, შექმნეს მხატვრულად მრავალფეროვანი, ეროვნული ხასიათის მქონე თვითმყოფადი კინემატოგრაფი, რომელსაც საფუძველი 1908—1910 წწ. ჩაეყარა, როდესაც ქართული კინოს პირველმა ენთუზიასტებმა — ვასილ ამაშუკელმა, ალექსანდრე დიდმელთაშვილმა და სხვებმა — დაიწყეს ქართული ყოფის ამსახველი დოკუმენტური სურათების გადაღება. პირველი კინოსეანსი თბილისში 1896 წლის 16 ნოემბერს გამართულა. მაყურებლისთვის ლუმერების ფილმები უჩვენებიათ...

საბედნიეროდ 100 წლის შემდეგაც ქართული კინო აქტუალურია და დღეს არაერთი ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, ცდილობს ქართული კინოს განვითარებას შეუწყოს ხელი. მცირედი წვლილის შეტანა სრულიად უკრაინის საზოგადოებრივმა გაერთიანებამ „გეორგიამ“ და უკრაინის ქართველთა ასოციაციამ „იბერიელმა“ იკისრეს. ახალი ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით კიევში ქართული ფილმების კვირეული გაიმართა. უკრაინის დედაქალაქმა ახალი ქართული კინოს IX ფესტივალს მიმდინარე წლის 23 ნოემბრიდან

Представники різних поколінь грузинського кіно, спираючись на досвід роботи світової кінематографії та традиції національного мистецтва створили художньо різноманітний, національного характеру, самобутній кінематограф, який бере свій початок з 1908-1910 років, коли першопрохідці грузинського кіно – Василь Амашукелі, Олександр Дігмелов та інші, розпочали створювання документальних фільмів, що відображають грузинське буття. Перший кіносеанс пройшов в Тбілісі 16 листопада 1896 року. Глядачам показали фільми братів Лум'єрів... Однак це вже історія... А сьогодні, 100 років по тому, грузинське кіно, на щастя, не тільки живе, а і розвивається, також збільшується кількість його шанувальників. Не один талановитий режисер стоїть на службі грузинського кіно та вносить вклад у справу розвитку грузинського кінематографу! Всеукраїнське громадське об'єднання грузинів «Георгія» та Асоціація грузинів в Україні «Іберієлі», з метою популяризації нового грузинського кіно, провели Тиждень грузинського кіно в Києві. Українська столиця

27 ნოემბრამდე კინოთეატრ „ჟოეტენში“ უმასპინძლა. ფესტივალი უკრაინის კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის დახმარებით ჩატარდა. კიევში წლებადელი ფესტივალის გამართვამ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია, შესაბამისად 23 ნოემბერს კინოფესტივალის საზეიმო გახსნის ცერემონიალს ქართული კინოს უამრავი გულშემატკივარი დაესწრო, მათ შორის იყვნენ მოწვეული სტუმრები, უკრაინის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ტიმოფეი კოხანი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება, საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის ერთერთი დეპარტემენტის უფროსი დავით ვაშაძე, მსახიობი გიორგი ნაკაშიძე, ასევე ცნობილი უკრაინელი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რეჟისორები და მსახიობები. საზეიმო ცერემონიალს წინ უძღოდა პრეს-კონფერენცია, სადაც უკრაინული და ქართული მედიის წარმომადგენლების შეკითხვებს ფესტივალის ორგანიზატორმა, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელის“ პრეზიდენტმა ბესიკ შამუგიამ და საქართველოდან მოწვეულმა სტუმრებმა უპასუხეს. ფილმის პრემიერამდე მაყურებლის წინაშე ქართული ცეკვების სახალხო ანსამბლი „იბერიელი“, სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები და უკრაინაში მოღვაწე ქართველი მომღერლები წარსდგნენ. ახალი ქართული კინოს IX ფესტივალი რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმის — „მანდარინების“ — პრემიერით გაიხსნა.

ცნობილი კინორეჟისორის (ფილმების — „სამი სახლი“ და „ბოლო გასეირნება“ — ავტორის) ზაზა ურუშაძის ნამუშევარი, „მანდარინები“, მოგვითხრობს აფხაზეთში მყოფი ესტონელი ოჯახის, ჩეჩენი მეომრის და დაჭრილი ქართველი ჯარისკაცის ურთიერთობაზე ომის დროს. ფილმის სიუჟეტი ომის ფონზე მიმდინარეობს, თუმცა ფილმი არ არის დატვირთული მძაფრი

პрийმალა IX Фестиваль нового грузинского кино 23-27 листопада поточного року. Фестиваль відбувся у кінотеатрі «Жовтень» за фінансовою підтримкою Міністерства культури України та допомогою Посольства Грузії в Україні та Центру національної кінематографії Грузії. Фестиваль викликав велику зацікавленість суспільства. 23 листопада, церемоніал урочистого відкриття фестивалю відвідала велика кількість шанувальників грузинського кіно, серед них були Перший Заступник Міністра культури України Тимофій Кохан, Надзвичайний і Повноважний Посол Грузії в Україні Міхеїл Уклеба, Керівник департаменту Центру національної кінематографії Грузії Давид Вашадзе, актор Георгій Накашідзе, також відомі українські та грузинські діячі, режисери, актори, запрошені гості. Перед урочистою церемонією відбувся прес-коктейль, де на запитання представників грузинських та українських СМІ відповідали: організатори фестивалю, президент Асоціації грузинів в Україні «Іберієлі» Бесік Шамугія та тбіліські гості. До прем'єри фільму перед глядачами прем'єри фільму виступив народний ансамбль грузинських танців «Іберієлі», творчі колективи та грузинські співаки, які займаються творчою діяльністю в Україні. IX Фестиваль нового грузинського кіно відкрився показом фільму «Мандарини» відомого грузинського режисера Зази Урушадзе. Зазу Урушадзе український глядач вже добре знає з фільмів «Три дома» та «Остання прогулянка», тому інтерес до його фільму був великим.

«Мандарини» розповідає про стосунки естонця, який мешкає в Абхазії, грузина та чеченця. Сюжет розвивається на тлі війни в Абхазії. Одну з головних ролей виконує Миша



სამრძოლო სცენებით. მთავარ როლში მიშა მესხია, რომელიც რომანტიკოსი გმირის როლში გვევლინება. მისი პერსონაჟი მსახიობია (რეალური პროტოტიპი — მსახიობი ლევან აბაშიძე), რომელიც მოხალისედ მიდის აფხაზეთის ომში. ასევე თამაშობენ ესტონელი ცნობილი მსახიობები — ლემბიტ ულფსაკი, ელმო ნოუგანენი და გიორგი ნაკაშიძე (ჩეჩენი მეომრის როლში). ფილმში საოცრადაა აღწერილი სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური შეხედულებებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეს მდგომი ადამიანების — ფაქტობრივად მტრების — დამეგობრების ისტორია. სეანსის დასასრულს თითქმის გავსებულ 300—კაციან დარბაზში მყოფი მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს, ეს იყო ნამდვილი წარმატება, რადგან კინოს ჭეშმარიტი შემფასებელი მაყურებელია.

კინოფესტივალის დღეებში საზოგადოებას კიდევ არაერთი საინტერესო ფილმის ნახვის საშუალება მიეცა, კვირეულის განმავლობაში ნაჩვენები იყო, როგორც ახალი ქართული ფილმები, ასევე საბჭოთა პერიოდის ნამუშევრებიც: დოკუმენტური ფილმი „ნეტავიქ თეატრის არის?!“, რეჟისორი ნანა ჯანელიძე, „ფიროსმანი“, რეჟისორი გიორგი შენგელაია, „სუსა“, რეჟისორი რუსუდან პირველი, „ქუჩის დღეები“, რეჟისორი ლევან კოლუაშვილი, „ქეთო და კოტე“, რეჟისორები ვახტანგ თავლიაშვილი და შალვა გედევანიშვილი, „ბოლო გასეირნება“, რეჟისორი ზაზა ურუშაძე, „გაიღიმეთ“, რეჟისორი რუსუდან ჭყონია, „მარილივით თეთრი“, რეჟისორი ქეთი მაჭავარიანი.

27 ნოემბერს ქართული კინოს ფესტივალი კინოს მოყვარულებს ერთი წლით დაემშვიდობა, ორგანიზატორების მონდომებას და ძალისხმევას უქმად არ ჩაუვლია, რადგან კინოფესტივალისთვის განკუთვნილმა რამდენიმე დღემ უდიდესი დაინტერესებით ჩაიარა. ანა სორდია



Месхі. Його герой за природою романтик, актор, який волонтером йде на абхазьку війну (так, як і насправді, актор Леван Абашідзе). В фільмі також грають відомі естонські актори – Лембіт Ульфсак та Елмо Нюганен. Георгій Накашідзе - виконує роль чеченського бойовика. Цікаво показана історія зав'язування дружби між людьми інших національностей, релігійних поглядів та людей які стоять по інші сторони барикад – фактично ворогів. Фільм заслужив велику симпатію, повна зала гостей стоячи на ногах аплодувала цьому великому творові. Це було дійсно великим успіхом грузинського фільму!

В рамках кінофестивалю аудиторія побачила не один цікавий фільм. Протягом тижня були показані як нові



грузинські фільми, так і творі радянського періоду. Був показаний документальний фільм режисера Нани Джанелідзе «Там є театр?!», в якому відомий актор Кахі Кавсадзе розповідає про своє життя та творчість. Також: «Піросмани» (режисер Георгій Шенгелая), «Суса» (режисер Русудан Пірвелі), «Дні вулиці» (режисер Леван Когуашвілі), «Коте і Кето» (режисер Вахтанг Тавлішвілі і Шалва Гедеванішвілі), «Остання прогулянка» (режисер Заза Урушадзе), «Посміхніться» (режисер Русудан Чконія) та «Біла як сіль» (режисер Кеті Мачаваріані).

27 листопада фестиваль грузинського кіно розпрощався з глядачами на один рік. Зусилля організаторів не пройшли даром – грузинське кіно придбало багато нових друзів.

Ана Сордія

უკრაინა ქართველთა გულეზში

УКРАЇНА В СЕРЦІ У ГРУЗИНІВ

ბევრი უკრაინელი კავკასიის ამ პატარა სახელმწიფოს მიმართ გულგრილი არ არის და როგორც საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვასილი ციბენკომ აღნიშნა, ეს გრძნობა ორმხრივია — ქართველებსაც უკრაინა გულში ჰყავთ ჩაკრული. ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის, რომელსაც ღვინით სავსე ჭიქის აწევს დროს წარმოთქვამენ ხოლმე.

საქართველოში აქამდე მადლიერებით იხსენებენ, რომ სწორედ უკრაინამ, ერთერთმა პირველმა, აღიარა მათი ქვეყნის დამოუკიდებლობა, ხოლო ძნელბედობის ჟამს იძულებულით გადაადგილებული ბევრი ქართველი შეიფარა.

მაგალითისათვის, ამათ რიცხვში გახლავთ ამ სტრიქონების ავტორიც.

აქ პატივს მიაგებენ უკრაინის პირველი პრეზიდენტის მიხეილ გრუშევსკის სსოვნას, რომელიც თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა; პატივს სცემენ ლესია უკრაინკას, რომელიც საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა. პოეტმა სიცოცხლის ბოლო წლებში აღიარა: იმდენად შემეყვარდა ეს მხარე, რომ უკრაინელად რომ არ დავბადებულიყავი, აუცილებლად ქართველი ვიქნებოდლო. რაც შეეხება კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვს, ჩვენი ორივე ქვეყანა მას სამართლიანად მიიჩნევს თავისად. თუმცა ჩვენ არამარტო გამოჩენილი ადამიანების სახელები, არამედ ის უცნობი ადამიანებიც გვაერთიანებენ, რომელთა ბედი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის დროს ერთმანეთში გადაიხლართა.

„ჩვენი წერილობითი რომანი
ათი წელი გრძელდებოდა“

უკრაინელი ლინა ოდიმუკი და თბილისელი მერაბ თათარაშვილი ერთმა შემთხვევამ დააკავშირა ერთმანეთს. 35 წლის წინ ჩემს მე—ნ კლასში მივიღეთ ქართველი გოგონა მზიას წერილი შეთავაზებით, დავვეწყო მიმოწერა (იყო ასეთი ტრადიცია საბჭოთა პერიოდში), — იხსენებს ლინა თათარაშვილი. საპასუხო წერილში მთელი ჩვენი კლასის მოსწავლეების სია ჩამოვწერეთ. მასწავლებელი ფიქრობდა, თუ სკოლის ქართველ მოსწავლეებს დავემეგობრდებოდით, მაშინ ჩვენი პიონერული რაზმი პირველ ადგილს დაიმსახურებდა ინტერნაციონალურ აღზრდაში. მზიამაც მიიღო ეს წერილი და თავის 12 წლის მემობელს, მერაბს, შესთავაზა, ამოერჩია სიიდან მეგობარი მიმოწერით. სახელი ლინა უჩვეულოდ მეჩვენა, ხოდა, მეც ჩემთვის მოვინიშნე, — იხსენებს 46 წლის მერაბ თათარაშვილი, — მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს ჩემი ბედი იქნებოდა. ჩვენი რომანი წერილებით თითქმის 10 წელი გრძელდებოდა, — ამბობს ლინა თათარაშვილი. სკოლის შემდეგ კარში წავიდა, მე კი როვნოს პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარე. ერთმანეთს მხოლოდ ფოტოებით ვიცნობდით, შავიზღვისპირეთში იმ საგზურის წყალობით შევხვდით, რომელიც სასწავლებლის პროფკავშირმა მომცა. მერაბმა, როგორც კი

Доля цієї невеликої кавказької країни небайдужа для багатьох українців. І як запевнив Надзвичайний та Повноважний Посол нашої держави у Грузії Василь Цибенко, це почуття взаємне. Україна – в серці у грузинів. Це не просто красиві слова, сказані з піднятим келихом вина.

Грузини досі згадують із вдячністю, що саме Україна була серед перших країн, які визнали незалежність Грузії , а у важкі роки прихистила до себе тих, хто волею долі був змушений покинути свою батьківщину. До слова, серед них був і автор цих рядків. Тут шанують пам’ять про першого Президента України Михайла Грушевського, що навчався у тбіліській гімназії, Лесю Українку, що довгий час мешкала в Грузії. У свої останні дні поетеса зізналася: так полюбила цей край, що якби не народилася українкою, то обов’язково була б грузинкою. Однак, нас пов’язують не тільки імена видатних особистостей, але і долі простих людей, що переплелися за роки існування єдиної радянської держави.

«НАШ РОМАН У ЛИСТАХ ТРИВАВ ДЕСЯТЬ РОКІВ»

Українку Ліну Одимчук та уродженця Тбілісі Мераба Татарашвілі звів випадок.

- 35 років тому в мій 6-Б клас луцької школи надійшов лист від грузинської дівчини Мзії з пропозицією почати переписку (була така традиція в радянські часи), - розповідає Ліна Татарашвілі. — У відповідному листі ми вказали весь список нашого класу. Вчителька вважала, якщо подружимося з грузинськими школярами, то наш піонерський загін посяде перше місце з інтернаціонального виховання. Мзія одержала цього листа і запропонувала своєму 12-річному сусідові Мерабу обрати друга за листуванням.

- Їм’я Ліна здалося мені незвичним, от і відзначив його для себе, - згадує 46-річний Мераб Татарашвілі. — Тоді і уявити собі не міг, що це моя доля на все життя.

- Наш із Мерабом роман у листах тривав майже 10 років, - каже Ліна Петрівна. — Після школи він пішов до армії. Я вступила до Рівненського педінституту. Одне одного знали лише по фотокартках. А зустрілися завдяки гарячій путівці до Чорноморського узбережжя Кавказу, що нам , студентам, виділила вузівська

гайго ამის შესახებ, მალევე ჩამოვიდა ჩვენთან პანსიონატში მყარი გადაწყვეტილებით, წავეყვანე თბილისში და გამეცნო მისი მშობლები. მერაბის გადაწყვეტილება, ცოლად შეერთო სხვა ეროვნების გოგონა, რომელსაც მხოლოდ ფოტოებით და მიმოწერით იცნობდა, მის მშობლებში აღფრთოვანებას არ იწვევდა, თუმცა არც წინააღმდეგობა გაუწევიათ. — ჩემმა მომავალმა მამამთილმა მაშინ თქვა: „როგორც შვილი გადაწყვეტს — ისეც იქნებაო!“, — იხსენებს ლინა. მერაბის მამა თანამედროვე ადამიანი იყო, მუშაობდა თბილისის საკონსტრუქტორო ბიურო „ანალიტელსაწყოში“, სადაც მუშაობდნენ მოწყობილობაზე, რომელიც ხელს უწყობდა ლენინის მავზოლეუმში აუცილებელი მიკროკლიმატის შენარჩუნებას. ამისთვის მას სახელმწიფო ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული. ჩემი მშობლები კი, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ იყვნენ აღტაცებული ქალიშვილის არჩევნით „კავკასიური ეროვნების“ ადამიანებზე სტერეოტიპული შეხედულებებიდან გამომდინარე. მამამ კატეგორიულად გამომიცხადა, — არსად არ წახვალო. ამიტომაც, როცა მერაბი ჩვენთან ლუცკში ნიშნობის ბეჭდით ჩამოვიდა, ეშმაკური ონის ჩაღენამ მომიწია. ბიძაჩემი იაკობი შევიდა მშობლებთან და კარის ზღუბლთან მოახსენა: ვიდრე თქვენ აქ ფიქრობთ, ქართველმა სასიძომ, კავკასიური წესის შესაბამისად, მოიტაცა ლინაო. დედამ ტირილი მორთო: „რატომ? რისთვის?! ხომ შეიძლებოდა ადამიანურად დანიშნულიყვნენ?! ჩვენ ყველაფერი გვესმის და უკვე აღარ ვუწევთ წინააღმდეგობას...“ მაშინ შეაღო ბიძა იაკობმა კარი და შევედით სახლში. ასე მივიღეთ მშობლებისაგან დალოცვა...

გათხოვების შემდეგ ლინამ ინსტიტუტში სწავლა უკვე თბილისში დაასრულა.

„თავი პარიზში მშობნა“

პირველი, რამაც საქართველოში გამაოცა,— ეს კერძების სიმწარე და მწვანილის რაოდენობა იყო, — თანამოსაუბრე ღიმილით ჰყვება, — მაგრამ ეს ყველაფერი მომეწონა. მეგონა, რომ პარიზში მოხვდი. ბევრი ლამაზი უკრაინული ქალაქი მინახავს, მაგრამ აქ ყველაფერი უჩვეულო იყო. ამას დამატებული ბუნება...

აი, მენტალიტეტით და ცხოვრებაზე შეხედულებებით უკრაინელები და ქართველები ძალიან ახლოს არიან: აქაც აფასებენ წესიერებას, პატივისცემას უფროსებისადმი, მშობლებისადმი.

ჩასვლიდან სამი წლის შემდეგ თავისუფლად ვსაუბრობდი ქართულად, კითხვა კი მაღაზიების წარწერებისა და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტების სახელ–გვარების კითხვით ვისწავლე, ამ სტუდენტებს უკრაინულს ვასწავლიდი. ცნობისთვის, სახელმწიფო ენა საქართველოში ყოველთვის ქართული იყო. საქართველო ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომელმაც საკუთარ კონსტიტუციაში არ დაუდგინა რუსულს ერთადერთი სახელმწიფო ენის სტატუსი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ისეთი პროცესები დაიწყო, რომ ქვეყნის დატოვება არა მარტო სხვა ეროვნების ადამიანებს, არამედ ქართველებსაც მოუხდათ. 1990–იანი წლები დღემდე საშინლად მახსენდება, — ამოიხსრა ლინა თათარაშვილმა, — არც დენი, არც გაზი, პურის რიგები ისევე, როგორც ბლოკადისდროინდელ ლენინგრადში და ამ დროს

профспілка. Мераб, дізнавшись про це, відразу приїхав до мене в пансіонат з твердим наміром відвезти у Тбілісі і познайомити з батьками.

Рішення хлопця взяти за дружину дівчину, яку знав лише за фотографією та листуванням, та ще й іншої національності, не викликало особливої радості у його батьків. Але і чинити опір вони не стали.

- Мій майбутній свекор тоді сказав: «Як син вирішить – так і буде!», - згадує Ліна Петрівна. – Батько Мераба був людиною сучасною, працював у тбіліському конструкторському бюро «Аналітприлад», де розробляли пристрій, за допомогою якого у мавзолеї Леніна підтримували необхідний мікроклімат. За це був удостоєний нагород.

А от мої батьки, керуючись стереотипами про людей «кавказької національності», були, м’яко кажучи, не в захваті від вибору дочки. Батько категорично заявив: «Нікуди ти не поїдеш!». Тому, коли Мераб приїхав до мене в Луцьк з обручкою, прийшлося піти на хитрість. Мій дядько Яків зайшов до батьків і з порогу заявив: поки вони розмірковували, грузинський наречений взяв та за кавказькими традиціями вкрав Ліну. Мама в сльози: «Навіщо ж так?! Можна ж було по-людські посвататися! Ми усе розуміємо і вже не чинимо опір...» Тоді дядько Яків відчинив вхідні двері і впустив нас у домівку. Так ми отримали батьківське благословення...

Інститут Ліна закінчувала вже в Тбілісі.

«МЕНИ ЗДАВАЛОСЯ,
ЩО Я ПОТРАПИЛА ДО ПАРИЖУ»

- Перше, що мене вразило в Грузії, - це гострота страв та велика кількість зелені, що вживають у їжу, - з усмішкою розповідає співрозмовниця. — Але мені це сподобалося. Мені здавалося, що я потрапила до Парижу. Я бачила багато красивих українських міст, але тут все було іншим. Плюс ще природа...

А от за менталітетом, поглядами на життя українці та грузини дуже близькі: там також цінуються порядність, повага до старших, до батьків.

Вільно розмовляла грузинською я вже через три роки. А читати навчилася за вивісками на магазинах та іменами студентів Тбіліського університету, яким викладала українську мову. До слова, грузинська мова в Грузії завжди була державною. Це єдина радянська республіка, яка в своїй Конституції не закріпила статус єдиної державної мови за російською мовою.

З розвалом Радянського Союзу в Грузії почалися процеси, що змусили покинути країну багатьох не тільки представників некорінної національності, а й самих грузинів.



შვილები უნდა დაგვეზარდა. ამას გარდა, მერაბი, რომელიც 1980–იანი წლების დასაწყისიდან შსს–ში მუშაობდა, ომში გაიწვიეს; მივლინებით სოხუმში გაუშვეს, საზოგადოებრივი წესრიგის და ქალაქის მერის პირადი დაცვის დასაცავად გაავგავნეს. სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ცვლა სულ რამდენიმე წუთის წინ ჰქონდა დასრულებული, როცა მერიის შენობა სრულიად დაბომბეს და ყველა, ვინც შენობაში იყო, დაიღუპა. მერე მილიციონერებს ავტომატები დაურიგეს და ომში გაუშვეს. საბედნიეროდ, მეუღლე არ დაზარალებულა, მაგრამ ბევრი მეგობარი დაკარგა. მე კი შინ ადგილს ვერ ვპოულობდი; ცნობები მოდიოდა, ტელეფონი და ფოსტა არ მუშაობდა. მოგვიანებით გავიგე, რომ მისმა რამზმა ერთი თვე ფეხით იარა სვანეთის მაღალმთიანეთში სამშვიდობოს გამოსასვლელად. ეზოში პირველმა ჩვენმა შვილმა გიორგიმ ნახა მამა, მე კი მეუღლე უცებ ვერ ვიცანი: იდგა ვიღაც წვერებიანი ბაბუა, დაფლეთილი ბინძური ტანსაცმლით. მე მხოლოდ იმის წარმოდგენა შემიძლია, რისი გადატანა მოუხდა მერაბს.

„პამაყობ, რომ ორი სამშობლო მაქვს“

სასიკეთო ცვლილებები საქართველო დაახლოებით 10 წლის წინ დაიწყო, — ამბობს ლინა თათარაშვილი. აქამდე ყველგან ბანდიტიზმი ყვაოდა. ხალხი შიშის გამო ვერ ტოვებდა ბინებს, მანქანებშიც კი ეძინათ, რომ ვინმეს არ მოეპარა. მაშინ არჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააცნობიერა, რომ მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით ქვეყნის ფეხზე წამოყენება შეუძლებელი გახდებოდა. სახელმწიფო სისტემაში ფესვგადგმულ კორუფციას და ყაჩაღობას რეფორმები თუ მოუღებდნენ ბოლოს. ცვლილებები დაიწყო პოლიციიდან. თითქმის ერთ ღამეში პრაქტიკულად მთელი პირადი შემადგენლობა შეცვალეს, არადა, ცვლილებას მთელი წელი ამზადებდნენ, თუმცა დიდად არ ახმაურებდნენ. სამართალდამცავ ორგანოებში ძველი კადრებიდან მხოლოდ რამდენიმე პირი დარჩა, მათ რიცხვში მოხვდა მერაბ თათარაშვილიც, მისი კოლეგები, მუშაობის 20 წლიანი სტაჟით, პენსიაზე გაუშვეს, მათზე ასაკით უმცროსებმა კი სხვა სამუშაო ადგილები მიიღეს — არაჟინ დაუტოვებიათ ბედის ანაბარა. შემდეგ რეფორმები დაიწყო სასამართლოებსა და ფისკალურ ორგანოებშიც, აქაც თითქმის 100%-იანი ცვლილება მოხდა და ამან შედეგი გამოიღო.

ახლა ადამიანები მანქანებს ღიად თავისუფლად ტოვებენ ღამით, ხელსაც კი არაჟინ დააკარებს, — ირწმუნება ლინა თათარაშვილი. საღამოს შევიძლიათ ქალაქში გაისიეროთ

- Я й досі з жахом згадую 1990-ті роки, - зітхає Ліна Петрівна, — ні світла, ні газу, за хлібом черги, як у блокадному Ленінграді, а нам із чоловіком маленьких діточок годувати. На додачу, Мераба, що з початку 1980-х працював в системі МВС, забрали на війну. Його відрядили в Сухумі для підтримки громадського порядку і особистої охорони мера міста. Чоловік дивом залишився живим. Він тільки змінився, коли будівлю мерії повністю розбомбили, і усі, хто був всередині, загинули. Потім міліціонерам роздали автомати і відправили в бій. На щастя, чоловік не постраждав, але втратив багатьох друзів. Я ж вдома не могла знайти собі місця: вістей нема, телефон і пошта не працюють. Пізніше дізналася, що його загін пішки майже місяць вибирався із оточення через гори Сванетії.

Першим у дворі будинку Мераба побачив наш син Георгій. А я чоловіка зразу і не впізнала: якийсь дідусь з бородою, обірваний весь, брудний. Що Мерабу довелося перетерпіти, могли лише здогадуватися.

«Я ПИШАЮСЯ ТИМ,
ЩО У МЕНЕ ДВІ БАТЬКІВЩИНИ»

- Позитивні зміни в Грузії почалися близько десяти років тому , - каже Ліна Петрівна. — До цього кругом процвітав бандитизм. Люди боялися залишати квартири, щоб їх не пограбували, навіть спали в машинах – аби їх не викрали.

Обраний тоді Президент республіки Михеїл Саакашвілі зрозумів, що відродити країну тільки економічними методами неможливо. Пронизуюча державну систему корупція і розкрадання зведуть нанівець усі реформи. Зміни почалися з поліції. Буквально за одну ніч практично повністю змінили особистий склад. Зміну готовили заздалегідь, не особливо афішуючи. Зі старих кадрів у правоохоронних органах залишилися одиниці, в їх число потрапив і Мераб Татарашвілі. Його колег, що прослужили 20 років, відправили на пенсію, а ті, що молодші, отримали інші місця роботи. Ніхто не був кинутий напризволяще. Потім реформи дійшли до судів та фіскальних органів, які теж оновилися на сто відсотків. І це дало результат.

- Зараз люди спокійно залишають відкриті машини на ніч – ніхто до них не доторкнеться, - завіряє Ліна Петрівна. – Ввечері можна гуляти містом і нічого не боятися. А у разі надзвичайної події правоохоронці реагують миттєво. Пам'ятаю, їхали ми з сином у автобусі, і злодій витягнув у мене з сумки гаманець. Син вискочив з салону, кинувся за ним навздогін, на ходу набираючи номер поліції. Буквально через пару хвилин прибулі на місце правоохоронці затримали

да арафрის შევეშინდეთ. საგანგებო სიტუაციის დროს კი სამართალდამცველები მყისიერად რეაგირებენ. მახსოვს, შვილთან ერთად ავტობუსით ვგზავრობდი და ქურდბაცაცამ ჩანთიდან საფულე ამოიღო. შვილი ჩამოხტა ავტობუსიდან და გაეკიდა, თან პოლიციის ნომერი აკრიფა. პრაქტიკულად რამდენიმე წუთში მოსულმა პოლიციელებმა ქურდი დააკავეს. შემეცოდა კიდევ ბიჭი, საფულეში ხომ სულ რაღაც ერთი ლარი მქონდა. ვთხოვე პოლიციელებს, რომ გაეშვათ, პასუხად კი მივიღე: „თანხის რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს. წესრიგი წესრიგია“.

საქართველოში თანდათანობით თითქმის ყველა საბიუჯეტო სფერო (სკოლები, საავადმყოფოები, გზები) განახლდა ან ხელახლა აშენდა. უმოკლეს დროში ქვეყანამ ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

ტაქსიტად მუშაობის ნებართვის მისაღებად ადრე დიდი ქრთამის მიცემა დამჭირდებოდა, – ამბობს თბილისში მცხოვრები ნუგზარი, — ახლა კი ადმინისტრაციული ცენტრის ერთ ფანჯარაში შევიტანე განცხადება და ვიდრე მეორე ფანჯარასთან მივედი, ლიცენზია მომცეს. ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ მოითხოვოს ან მე შევთავაზო ქრთამი! მანქანის გაყიდვა, გადაფორმება, პასპორტის აღება, ბიზნესის კეთებისთვის ნებართვის აღება — ყველაფერი რამდენიმე წუთში ხდება და არავითარი რიგში დგომა არ მოვიწევთ.

ქრთამის აღება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, საავადმყოფოებში არ ხდება, — აგრძელებს ლინა. რამდენიმე ჩვენი ნაცნობი ოჯახი ძალიან დიდ გაჭირვებაში ცხოვრობს. საბჭოთა დროსაც კი მათი შვილები ალბათ ვერ შეძლებდნენ უმაღლესი განათლების მიღებას. ამ წელს კი ისინი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. გამოცდებზე შეესებულ ტესტებს ასწორებს კომპიუტერი, ვიდეოკამერების მეთვალყურეობის ქვეშ. ახლა მათ აქვთ მომავალი, რომელიც მათივე შშობლების თქმით, ადვილი შესაძლებელია, უკრაინას დაუკავშირდეს.

მართლაც და, უკრაინისადმი ინტერესი აქ საკმაოდ დიდია. უკრაინის საელჩო საქართველოში თავის კულტურულ–საინფორმაციო ცენტრში უკვე რამდენიმე წელია რაც უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესწავლის შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულებს და ეს ინტერესი ბოლო წლების განმავლობაში ერთიორად გაიზარდა.

საქართველოში ბევრი უკრაინული ორგანიზაცია არსებობს, მარტო თბილისში ხუთი ასეთი თემია, — ამბობს ლინა თათარაშვილი, — მაგალითისთვის, მეც საქართველოში უკრაინელი ქალების საზოგადოების თავმჯდომარე ვარ და ვამაყობ, რომ ორი სამშობლო მაქვს: უკრაინა, სადაც დაიბადე და საქართველო, სადაც ჩემი შვილები დაიბადნენ. ორი შვილი გვყავს მე და მერაბს. ეკა 33 წლისაა, მას უკვე საკუთარი ოჯახი ჰყავს და მეც ბებია ვარ. შვილიშვილი ანა 5 წლისაა, გიორგი კი 29 წლისაა, ჯერ დაოჯახებული არაა, ძალიან გვინდა, რომ ოჯახური ბედნიერება სწორედ უკრაინაში იპოვოს.

გაზეთ „ლუგანსკის ცხოვრების“ რედაქტორი ოლეგ ტრანუკი.

Р.С. ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის უკრაინის საელჩოს თანამშრომლებს და პირადად უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვასილ ციბენკოს მასალის მომზადებისას გამოჩენილი თანამშრომლობისთვის.

кишенькового злодія. Мені навіть стало шкода хлопця, адже у гаманці був лише один ларі. Попросила поліцейських відпустити його. І Отримала відповідь: «Не в сумі справа. Порядок є порядок».

Поступово в Грузії практично всі об'єкти бюджетної сфери (школи, лікарні, дороги) відремонтували або побудували заново. У найкоротший термін країна створила сприятливі умови для ведення бізнесу.

- Щоб отримати дозвіл на право працювати таксистом, мені раніше потрібно було дати купу хабарів, - каже житель Тбілісі Нугзар, - а тепер я в одне віконце адмінцентру здав свою заяву, поки дійшов до другого, мені вже видали ліцензію. І борони Боже, щоб хтось попросив або я запропонував хабар! Зараз продати машину, переоформити закордонний паспорт, отримати дозвіл на ведення бізнесу – все робиться в лічені хвилини. І ніякої черги.

- Грошових поборів у школах, ВУЗах, лікарнях нема, - продовжує Ліна Петрівна. – Серед наших знайомих є декілька сімей, які живуть дуже бідно. Навіть у радянські часи їхні діти навряд чи змогли б вступити до ВУЗу. А цього року вони стали студентами університету. Тести перевіряв комп'ютер, під контролем відеокамер. І у них тепер є майбутнє, яке , за думкою їхніх батьків цілком можливо буде пов'язане саме з Україною.

І дійсно, інтерес до всього українського тут вельми високий. Посольство України в Грузії у своєму культурно-інформаційному центрі на протязі вже багатьох років проводить навчання усіх бажаючих українській мові та літературі. А в останні роки зацікавленість у ньому зросла в рази.

- У Грузії діє багато українських товариств, тільки в Тбілісі їх п'ять, - каже Ліна Татарашвілі. Наприклад, я є головою товариства українських жінок Грузії. І я пишаюся тим, що у мене дві Батьківщини: Україна – де народилася, і Грузія – де з'явилися на світ мої діти. У нас з Мерабом їх двоє. Дочці Еці 33 роки. Вона заміжня. А я уже бабуса. Онучці Ані п'ять років. Синові Георгію 29 років. Він поки що не одружений. Ми з чоловіком дуже хочемо, щоб сімейне щастя він знайшов в Україні.

Головний редактор газети «Жизнь Луганска»
Олег Трачук

Р.С. Автор виражає щиру подяку співробітникам Посольства України в Грузії і особисто Надзвичайному та Повноважному Послу України в республіці Грузія Василю Цибенку за сприяння у підготовці матеріалу.

ორი დამსახურებული ჯილდო

ДВІ ЗАСЛУЖЕНІ НАГОРОДИ

ძვირფასო მკითხველებო, როგორც მოგეხსენებათ ჩვენს წინა ნომრებში არაერთხელ მოგიყვლია იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს უცხო ქვეყანაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, ისინი დღემდე განაგრძობენ უკრაინაში მოღვაწეობას და ერთგულად ემსახურებიან ქართულ საქმეს. საბედნიეროდ ჩვენი ქვეყნის ტრადიციების სადარაჯოზე არა მარტო ქართველი ემიგრანტები, არამედ უკრაინელი მეგობრებიც დგანან. გასულ წლის ნოემბერში საქართველოს რესპუბლიკის ღირსების ორდენით სწორედ ორი ასეთი ადამიანი დაჯილდოვდა — კიევის 102-ე ლიცეუმის დირექტორი იგორ კოჩუბი და ქართული კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრ „იბერიელის“ პედაგოგი, ჟურნალ „საქართველოს“ რედაქტორი დავით თოდუა. სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია“, უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“ და ჟურნალ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავენ ბატონ იგორს და ბატონ დავითს დამსახურებულ ჯილდოს.

Дорогі читачі, як вам вже відомо, у попередніх випусках ми неодноразово розповідали про людей, які зробили великий внесок у популяризацію грузинської культури закордоном, Вони до сих пір продовжують працювати в Україні та віддано служать грузинській справі.

На щастя, на сторожі традицій нашої країни стоять не тільки грузинські емігранти, а й українські друзі. У листопаді минулого року Орденом Гідності Грузії були нагороджені дві такі людини – Диретор 102-го лицюю Києва Ігор Кочубій та педагог Грузинського культурно-освітнього центру «Іберієлі», Редактор журналу «Сакартвело» Давід Тодуа. Всеукраїнське суспільне об'єднання «Георгія», Грузинський культурно-освітній центр «Іберієлі» та редакція журналу «Сакартвело» вітають пана Ігоря та пана Давіда із заслуженими нагородами.



ძვირფასო მეგობრებო! დაიწერა წიგნი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, რომლის ავტორია ახალგაზრდა პოეტი იროდი ასანაშვილი. წიგნში აღბეჭდილია საქართველოს თითოეულ რეგიონზე დაწერილი „აკროსტიქული“ ლექსები... სამწუხაროდ, ამ წიგნის გამოცემის საშუალება თავად ავტორს არ გააჩნია... გთხოვთ, შეძლებისამებრ, დაუდგეთ ავტორს გვერდში, რათა შეძლოს წიგნის გამოცემა... ყოველი, თქვენგან გამოწვედილი, ლარი შეგვადლენებს გამოცემაზე მომოსხმებული წიგნი... დიდი ბოდიში შეწუხებისათვის და მადლობას მოგახსენებთ წინასწარ!

ს.ს. „საქართველოს ბანკში“ კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები: (ლარი) მიმღები ბანკი: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;

ბანკის კოდი: BAGAGE22;
გაგარინის ქ. 29, თბილისი, 0160, საქართველო.
მიმღების დასახელება: ასანაშვილი იროდი
მიმღების ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000360595300

Дорогі друзі, написана книга «З Нікопсії до Дарубанді», автором якої є молодий поет Іроді Асанішвілі. В ній опубліковані «акrostичні» вірши про кожний регіон Грузії...

Нажаль, можливості видання даної книги сам автор не має...

Звертаємось з проханням, по можливості підтримати автора, для опублікування книги... Кожний ларі допоможе у видавництві даної книги...

Заздалегідь вдячні!

Реквізити для зачислення грошей на рахунок клієнта у «Банку Грузії»

Банк отримувач: Акційне товариство «Сакартвелос Банкі»;

Код Банку: BAGAGE22;

вул. Гагаріна 29, Тбілісі, 0160, Грузія

Отримувач: Асанішвілі Іроді

Номер рахунку отримувача: GE81BG0000000360595300

BANK OF GEORGIA

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN USD

DOLLAR IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA

Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; CITIUS33

Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 29a Gagarin street, Tbilisi 0160, Georgia

Beneficiary: ASANASHVILI IRODI

Account: GE81BG0000000360595300 (დოლარი/ долар)

BANK OF GEORGIA

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN EURO

IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA

Intermediary Bank: Commerbank, Frankfurt, Germany; SWIFT: COBADEFF

Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 29a Gagarin street, Tbilisi 0160, Georgia

Beneficiary: ASANASHVILI IRODI

Account: GE81BG0000000360595300 (ევრო/ евро)

საქართველო საქართველო

#1 (16) 2014

პროექტის ავტორი: Автор проекту
ბესიკ შამუგია Бесік Шамугія

რედაქტორი: Редактор:
დავით თოდუა Давид Тодуа

ნომერზე მუშაობდნენ: Над номером працювали:
ანა სორდია-კრავчук Ана Сордія-Кравчук
დავით კურტანიძე Давіт Куртанідзе
სოსო ჩოჩია Сосо Чочія

თარგმანი: Переклади:
დავით თოდუა Давид Тодуа
დავით კურტანიძე Давіт Куртанідзе
მალხაზ ჭკადუა Малхаз Чкадуа
მარინა ტყეშელაშვილი Марина Ткешелашвілі

დიზაინი: Дизайн
და კომპიუტერული უზრუნველყოფა та комп'ютерне забезпечення
დავით კურტანიძე Давіт Куртанідзе



იბერიელი
IBERIELI

(1) ტარას შევჩენკოს ძეგლი. თბილისი
ПАМ'ЯТНИК ТАРАСОВІ ШЕВЧЕНКУ. ТБІЛІСІ

